# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 3 სექტემბერი, 2010 წელი.

№165 (6531)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## შეწყალება ან სიკვდილი!

4



არც ისე დიდი ხნის წინათ ფსიქიკურად დაავადებულმა გიორგი გიუნაშვილმა თავისთან სტუმრად მყოფი ბიძაშვილი მარინა გიუნაშვილი დანით მოკლა, დაანაწევრა. დილით კი ხორცი მოხარშა და შეჭამა. იგი დააკავეს. მას გაქცევა არც უცდია. სათანადო მკურნალობის გავლის შემდეგ გიუნაშვილი გამოჯანმრთელდა. როდესაც ჩადენილი გაიცნობიერა, ინფარქტით გარდაიცვალა.

## ფოცხო – დევნილთა გეტო

2



## კავკასიური მაფია ზურმუხტოვან სანაპიროზე ფუძნდება

8



## ყარყარაშვილი „ლეგიონს“ ქმნის?..

3

## დედაენა ტურიზმით ჩაანაცვლეს...

2



## აქა ამბავი საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობისა

3

## „შენ თვითონ ხარ ხოხოლი!“

5

რატომ არის ეროვნებათშორისი სტერეოტიპები ასეთი საწყენი?



უცხოელებისთვის კი ჩვენ ყველანი – ჩერნობილელი ქართველები ვართ!

## ◉ სატელევიზიო თამაში

# FARM VILLE

**ინტერნეტის იმ მომხმარებლებს, რომლებიც სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ არიან გაწევრებულნი, კარგად მოეხსენებათ ინტერნეტ-თამაში „ფერმა“.**

ყოველი შემთხვევისათვის, მაინც გეტყვით, რომ ამ თამაშის მონაწილეს ეძლევა ვირტუალური ფერმა და საკმაო რაოდენობის ფინანსური რესურსი.

ის, თუ როგორ გამოიყენებს თავის სავარგულებს, როგორი მიზნობრიობით დახარჯავს მის ხელთ არსებულ ბიუჯეტს და სოფლის მეურნეობის რომელ მიმართულებაზე გააკეთებს აქცენტს, მთლიანად მოთამაშეზეა დამოკიდებული.

ბუნებრივია, რომ თამაშის პროცესში, რომელიც თვეების განმავლობაში გრძელდება, მოთამაშე აწყდება გარკვეულ პრობლემებს.

სწორედ აქ იჩენს თავს მისი მარიფათი და, ასე ვთქვათ, კრიზისთან ბრძოლის გზების სწორი დაგეგმვა.

მოთამაშე დახმარებას სთხოვს თავის მეგობრებს. ყიდის საკუთარი შრომით მიღებულ პროდუქტს და ამონაგები თანხით შეაფასებს კრიზისის დროს მიღებულ ზარალს.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მარტივად ვიტყვი, რომ ამ თამაშს უამრავი ადამიანი თამაშობს. უფრო სწორად, კი არ თამაშობს, მისით ცხოვრობს და თუ ცივი გონებით შევხედავთ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს თამაში ფაქტობრივად სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის საკმაოდ მძლავრ ტრენინგ-პროგრამას წარმოადგენს.

სამწუხაროდ თამაშის მიმდინარეობას ბევრი მაყურებელი ვერ ადევნებს თვალს და ფართო მასებისთვის უცნობი რჩება ვირტუალური ფერმერების წარმატებები.

ჩვენმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ხალხის მოთხოვნა და 31 აგვისტოს, თავისი ტელევიზიებით, საქართველოს მოსახლეობას საშუალება მისცა პირდაპირ ეთერში, საკუთარი თვალით ენახა „ფერმაში“ წარმოშობილი კრიზისის გადაჭრისადმი მიძღვნილი თათბირი.

საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ონლაინ რეჟიმში ეთამაშებოდნენ, უკაცრავად ეთათბირებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს და საქართველოს ელჩებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და უკრაინაში.

არადა მართლაც, საინტერესო სანახავი იყო.

მშვენივრად თამაშობდნენ ბავშვები. ისხდნენ თავისთვის წყნარად და ერთობოდნენ. არც ასანთი ეკავათ ხელში და არც სალებავებით ითხუპნებოდნენ.

რაც მთავარია საკმაოდ კარგი შედეგი გვაჩვენეს. ხან უკრაინიდან დაგვპირდნენ ხორბლის მოწოდებას და ხანაც არკანზასიდან. პარალელურად კი საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და მისი არნახულ მასშტაბებზე გაყვანის გზებზე მსჯელობდნენ.

რატომღაც არ ჩანდა ვერიკო ქობალია. ალბათ ბიჭებმა არ ათამაშეს და იძულებული გახდა თოჯინებისთვის შეეჩივლა თავისი გასაჭირი, ან შეიძლება ბებომ დაუძახა, უკვე გვიანია და სახლში ამოდიო.

რაღა დაგიმალოთ და როცა ამათ ვუყურებდი, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, თამაშის ნაცვლად, რასაც ამბობენ, მართლა რომ გააკეთონ, რა კარგი იქნებათქო. განსაკუთრებით სააკაშვილის ის წინადადება მომეწონა, რომელიც სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტის იმპორტირებულ საქონელზე წინ დაყენებას ისახავდა მიზნად და ლევან ვარშალომიძეც თავს დიდი მონდომებით უქნევდა (გულში რას ფიქრობდა ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ სახეზე კი დიდი ყურადღება და მონდომება ჰქონდა დაფენილი).

კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ხანდახან ქათამაძეს ცოტა ეშლებოდა. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ აბსოლუტურად გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ უშველის საქართველოში წარმოქმნილ ფქვილის დეფიციტს უკრაინაში ხუთი მილიონი ტონით შემცირებული და ამის გამო 50%-ით გაძვირებული ხორბალი.

ასევე კარგი იქნებოდა, რომ ის უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესასვლელიდან ჩართულიყო პირდაპირ ეთერში, რადგანაც უფრო დამაჯერებელი იქნებოდა და თავის გუნდსაც უფრო მეტ ქულებს მოუტანდა, მაგრამ ეგ არაფერი. ნელ-ნელა დაიხვეწებიან და როცა „ფერმის“ ნაცვლად „ქარხნობანას“ თამაშზე გადავლენ, იქ გამოასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

რაც მართალია, „ფერმა“ მართლაც კარგად „დაუმუღამებიათ“. ახლა „ქაუნთერსაც“ ისწავლიან და სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნებას წინ ველარაფერი დაუდგება.

**გია გაბრიჭიძე**

## ◉ სათქმელი უნდა ითქვას!

# ფოცხო – გეტო



გაღმა არწივის ბუდესავით ჩანს ფოცხო

**ენგურის უნიკალური კაშხლის სამზერ ბაქანზე მდგარს ერთი ამბავი გამახსენდა:**

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც კაშხლის ფუნდამენტს ეყრებოდა საფუძველი, წულიშის მთის ქვეშ წყალამქცევი გვირაბი გაიყვანეს მშენებლებმა და ის-ის იყო ამ გვირაბის მობეტონება დაიწყეს. გვირაბში მკაცრად იყო დაცული უსაფრთხოების წესები და უცხო პირთა შესვლა სასტიკად იკრძალებოდა. ჩვენ, მე და ჩემი კოლეგა ჟურნალისტი, მართალი გითხრათ, დიდად არ ვაქცევდით ყურადღებას ამ აკრძალვას! ერთ მშვენიერ დღეს, მეგობარმა მშენებლებმა გზა „გაგვიხსნეს“ და სხვებისგან უჩუმრად „ჩავიძირეთ“ გვირაბში. მალე, ერთი კილომეტრის იქით გამოვედით სინათლეზე. ენგური ჯერ ისევ ძველი სადინარით მიედინებოდა და თითქოს გრძნობსო თავის ბედისწერას, გაცოფებული ვეფხვივით მიაგელვებდა მღვრიე ტალღებს. „ყოჩაღ ჟურნალისტებს“, გვირაბის ბოლოს, მარცხნივ, სალი კლდეები დაგვხვდა, მარჯვნივ — ენგურის აქაფებული მორევი! იძულებული გავხდით ან კლდეებს შევჭიდებოდით, ან უკან დავბრუნებულვიყავით. რადგან ალპინისტობის პრეტენზიები გვქონდა, კლდეებს „შევუტიეთ“! თანდათან ვმაღლდებოდით ციცაბოზე და უცებ... მთის სუროთი და კრიკინით დაფარულ გამოქვაბულში მოვხვდით! საოცარი იყო, მაგრამ უფრო მეტი საოცრება იყო ის, რომ გამოქვაბულს ადამიანის ნაბინავარის კვალი ეტყობოდა! — რომელიღაც ნადირის თუ, ფრინველის ძვლები, კვამლის კვალი და ნაცარი! კარგა ხანს უბრად ვიდექით შესასვლელთან. შემდეგ შემორჩენილ ნაცარს დავუწყეთ ქექვა და, ანაზდად, ხელში ვიგრძენი რომელიღაც ლითონის სიმკვრივე, — ზრო იყო, ისრის წვერი! როგორც ცნობილმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა მიხეილ ჩართოლანმა მითხრა შემდგომში, მისი ფორმა და ლითონის სახეობა ამტკიცებდა, რომ იგი უძველეს ადამიანს ეკუთვნოდა უცილოდ!..

ზრო მას შემდეგ ჩემს არქივში ინახება!

...აი, ახლა სადაც ვდგევარ, იქ იყო ის გამოქვაბული! დღეს კი აქ, ენგურის კაშხლის სამმართველოს კოპწია ოფისი დგას და მარჯვნივ ენგურის ზღვაა გადაშლილი, მარცხნივ — ენგურის ქვედაწელი და კლდეებს მიყუჟული პაწაწკინტელა დასახლება, — ფოცხო! ოდითგან აქ, ასევე პატარა, სულ რაღაც ხუთოჯახიანი სოფელი იყო იგივე სახელწოდებით, მაგრამ ადამიანები სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის უკმარისობის გამო ჯვარში და ლიაში ჩამოსახლდნენ და დარჩა ნასოფლარი! მშენებლებმა ეს ადგილი დროებით დაბად გამოიყენეს. ისინიც ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამ კლდეებში ბოსტანიც კი ვერ გაახარეს! მერე წავიდნენ მშენებლებიც, გავერანდა ხუთსართულიანი სახლები, თანდათან ჩაკვდა ცხოვრება ფოცხოში. ამას წინათ, ფოცხოს, რომელიღაც სამშენებლო კომპანია ეწვია და საოცრად მოკლე დროში, ახალი სული ჩაუდგა აქაურ ბინებს — ე. წ. ევრორემონტი ჩაუტარდა და ახლა ავ თვალს არ დაენახვება! როგორც ხმა გავარდა, ქვეყნის დიდ ქალაქებში უსაშველოდ მომრავლებული ლტოლვილები უნდა ჩაასახლონო ფოცხოში! სიტყვას საქმე მოჰყვა, ჯერჯერობით ორასამდე ოჯახმა დაიდო ბინა აქ, მაგრამ მალე ეს ციფრი 400-ს მიაღწევსო, ამბობენ!

მთავრობას შეუძლია თავი მოიწონოს ასე მაღალ დონეზე გარემონტებული ბინებით, მაგრამ...

მაგრამ მარტო ახალგარემონტებული ბინებით ვერ იცხოვრებს ადამიანი, თუნდაც მას ოქროს სახურავი და მარმარილოს კედლები ჰქონდეს! ის მიწის ფართები, რომლებიც ხუთ ოჯახს არ ყოფნიდა ახლო წარსულში, დღეს ორასს, მით უფრო ოთხას ოჯახს როგორ ეყოფა საარსებოდ? მით უფრო, ის მცირედი სავარგულიც ხუთსართულიანმა ნაგებობებმა დაიკავა და ხორგო ქვებში და კლდის ნაპობებში „არაფერი ყრია“! ამიტომაა, რომ მიუხედავად ტელევიზიების „აღტაცებული“, „ლამაზი“ ინფორმაციებისა, ლტოლვილები სასოწარკვეთილ ცრემლებს ღვრიან და ასავსავებენ ხელებს:

— როგორ უნდა ვიცხოვროთ აქ, ამ კლდეებსა და კაშხალს მიყუჟულ „ნასოფლარში“? მიწა აქ არ არის, ვაჭრობით კი, ვის ვევაჭროთ და რა ვივაჭროთ? ანდა, რომც ვივაჭროთ, სად ვივაჭროთ? ქალაქ ჯვარამდე 7-8 კილომეტრია და უფრო ნაკლებიც, რომ იყოს, იქ „თავისი“ ლტოლვილებიც თავზესაყრელი ჰყავთ, სავაჭრო და „ასპარეზი“ მათაც არ ყოფნით.

არადა, ფოცხო შესანიშნავად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ტურისტულ ბაზად, ლტოლვილებისთვის კი, აგვეშენებინა ახალი საცხოვრებელი ბინები სადმე, შესაფერის ადგილზე. ახლა კი, რემონტზე დახარჯული მილიონები წყალში ჩაყრილი ხარჯებია, უყაირათოდ გახარჯული! ამიტომაა, რომ უჭკუოდ დახარჯულ მილიონებს ფუქსავატობას უწოდებს ხალხი! მართალია, კეთილი საქმეა ლტოლვილთა დაბინავება, მაგრამ დიდი ქალაქების „გასუფთავების“ იდეა დანაშაულის ტოლფასია თუ, ზუსტად არ არის გათვლილი და გაანგარიშებული ყოველი ნაბიჯი! თუ „გეტოებში“ გვინდა ვაცხოვროთ ჩვენი, ისედაც გაწამებული ხალხი, ეს პირდაპირ ვუთხრათ, და ისინიც შეურიგდებიან ბედს, ეცოდინებათ, რომ მთავრობა მათთვის აშენებს დასახლებას სახელწოდებით — „გეტო ფოცხო“!

**ზაალ ფილფანი**

## ◉ რა დღეშიც ვართ

# დედაენა ტურიზმით ჩაანაცვლეს...

**პრეზიდენტი დაფრინავს, განათლება კი უკან-უკან მიდის, სამაგიეროდ, სვანეთი უნდა გადაიქცეს ტურიზმის დედოფლად — ახალი აეროდრომი უცხოელ ტურისტებს კიდევ უფრო მეტად მოიზიდავს... ტურიზმი აყვავდება და გაიფურჩქნება, განათლება კი საპნის ბუშტივით გაილევა, გაქრება... უმართებულო საგანმანათლებლო პოლიტიკამ და გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა ისედაც სავალალოდ დააძაბუნა.**

ახლა მორიგი ექსპერიმენტის „მსხვერპლად“ უნდა ვიქცეთ — მოსწავლეებს გაძლიერებული ინგლისური უცხოელმა პედაგოგებმა უნდა შეასწავლონ! თითქოს საამისოდ საგანგებოდ ემზადებოდნენ, ჯერ იყო და, მასწავლებლებს მომზადების დონე დაუწუნეს, სასერტიფიკაციო გამოცდებში ბარიერი მხოლოდ პედაგოგთა 11 პროცენტმა გადალახაო, შემდეგ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, უმარტივეს ტესტებში, აბიტურიენტთა ერთი მესამედი ჩაიჭრა. ნიადაგი მომზადდა — სკოლებიდან მასწავლებლების მასობრივად დათხოვნაც დაიწყეს.



სამაგიეროდ, გზა გაუხსნეს უცხოელ ვითომ პედაგოგებს! თუმცა, ჩვენს გაუბედურებულ განათლებას რამდენად უშველის ინგლისურის გაძლიერებული სწავლება, ეს კიდევ საკითხავია. უშველის კი არა, დააქცევსო, — ირწმუნებიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მაგრამ შაშკინის უწყებას ეს ძახილი საერთოდ არ ანაღვლებს. მინისტრი ინგლისური ენის 92 პედაგოგს კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან უკვე შეეხვდა. ეს პედაგოგები იმერეთის რეგიონის საჯარო სკოლებში გადანაწილდებიან, ახალი სასწავლო წლიდან კი მოსწავლეებს ინგლისურს გაძლიერებულად შეასწავლიანო! — ირწმუნებიან საინფორმაციო სააგენტოები.

მასმედიის საშუალებებში უკვე გახმიანდა, რომ ამ ინგლისურის მასწავლებლებში პროფესიონალები თითქმის არ არიან. მათ თურმე ჯერ ტრენინგები უნდა გაიარონ და შემდეგ შევიდნენ ქართულ სკოლებში. იბადება კითხვა: თუ ისინი მართლა პროფესიონალები არიან, ტრენინგები რაღად უნდა სჭირდებოდეთ?

ამბობენ, ეს 10 ათასი ინგლისური ენის ვითომ სპეციალისტი რაღაც საეჭვოდ ჩამოჰყავთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში და, შესაძლოა, შეფარული დავალებითაც — დაანგრიონ ჩვენს სოფლებში ჯერ კიდევ მყარ ბურჯად აღმართული ქართული სულიერება. არც ერთი ეს ვითომ მასწავლებელი მართლმადიდებელი არ ყოფილა! საქართველოს ძლიერება დღეს ქართულ სოფელშია, „რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

**სამ საუნჯეთაგან გაუბედურებული მამულის ენასაც მიადგნენ — სამიზნეა ქართული ენა!** სავარაუდოა, რომ დღეს ივერთ ქვეყანაში, იოანე ზოსიმეს მშობელ ერში პრიორიტეტული უცხო ენაა, მშობლიური კი — მეასეხარისხოვანი გამხდარა. დიდი იაკობ გოგებაშვილი მე-4 კლასამდე ბავშვისთვის უცხო ენის შესწავლას უმართებულოდ მიიჩნევდა. იგივეს ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც, და თავგანწირული იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ახლა კი ბავშვების ცნობიერება შეგნებულად უნდა მოაქციონ უცხო ენის გავლენის ქვეშ, და ამით თურმე ჩვენს განათლებას ეშველება!

ძნელი მისახვედრი არაა, ინგლისურის გაძლიერებული სწავლება რისთვის სჭირდება ჩვენს გამოშაშკინებულ ხელისუფლებას — ტურიზმის გაფურჩქვნის ჟამს მომსახურე პერსონალიც უცხო ენას სათანადოდ უნდა ფლობდეს, რომ მაღალ დონეზე მოემსახუროს თუნდაც თავისი სასტუმროს მფლობელ მდიდარ არაბს, ჩინელსა თუ თურქს...

ეს ვაიპროგრამა ამისთვის გამიზნული უფრო მგონია. ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა მას განსაკუთრებულად ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის გამიზნული უწოდა. ეტყობა, საქართველოსაც ასეთ ჩამორჩენილ ქვეყნად გადაქცევას უპირებენ, სადაც პრეზიდენტი დაფრინავს, ხალხს კი — ექიმთან მისასვლელი ფული არა აქვს და ყოველდღიური პრობლემების შეწუხებულს ცაში ახედვაც დიდი ხანია დაავიწყდა. სკოლებიდან დათხოვნილი ქართველი პედაგოგები შიმშილისა და უცხო ქვეყნებში გადახვეწისთვის გაწირეს, გოგებაშვილის „დედა ენა“ განსაცდელშია!

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ სამთავრობოთაშორისო საბჭო

*თბილისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის თავმჯდომარეობით საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობოთაშორისო საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა.*

*აზერბაიჯანულ მხარეს სხდომაზე ტრანსპორტის მინისტრი ზია მამედოვი, სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი და დახურული სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანული სარკინიგზო გზების“ ხელმძღვანელი არიფ ასკეროვი წარმოადგენდნენ. ქართული მხრიდან კი შეხვედრას ასევე ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი ირაკლი ეზუგბაია ესწრებოდნენ.*

*მათ გარდა, სამთავრობოთაშორისო საბჭოს პირველ სხდომაში სააქციო საზოგადოება „ყაზტრანსოილის“ გენერალურმა დირექტორმა სულთან ნურბოლამ, ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ვიცე-მინისტრმა ასეტ მაგაუოვმა და სააქციო საზოგადოება „ყაზმუნაიგაზის“ ხელმძღვანელის მოადგილემ ბულატ ოტაროვმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებმაც „ტრასეკას“ პროგრამის მონაწილე 12 ქვეყანასთან ერთად „ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ“ ძირითად მრავალმხრივ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.*

# საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში გადავიდა

შეხვედრას ესწრებოდნენ იმ კომპანიების ხელმძღვანელი პირებიც, რომლებიც აზერბაიჯანსა და საქართველოში ნავთობტერმინალებით ოპერირებენ.

31 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მიმდინარე წლის საკითხებთან ერთად, უახლოესი პერიოდის პერსპექტიული გეგმები განიხილეს. განხილულ იქნა, კერძოდ, საერთაშორისო სატრასპორტო კორიდორის სატრანსპორტო ქსელებზე სავაჭრო ბრუნვისა და სატრანზიტო ტვირთნაკადის გაზრდის, სატრანსპორტო კორიდორის განვითარებისა და ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ურთიერთობების, სატრანსპორტო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო პოლიტიკის ჰარმონიზაციის, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაფართოების, საკუთარ ტერიტორიებზე დამატებითი სატრანზიტო გადაზიდვების უზრუნველყოფის საკითხები.



როგორც შეხვედრის მონაწილეებმა „პირველს“ განუცხადეს, სხდომა „კონსტრუქციულ ვითარებაში, სრული ურთიერთგაგების გარემოში ჩატარდა და ნაყოფიერი აღმოჩნდა“.

„მსგავსი სხდომები ღიად ახდენენ მხარეების ინტერესების თანხვედრის შესაძლებლობის დემონსტრირებას. ინტერესთა მსგავსი ბალანსი, რომელიც მეგობრობას, პარტნიორობას და სტრატეგიულ თანამშრომლობას ეფუძნება, გრძელვადიანი და მყარი წარმატებისათვის კარგ ნიადაგს ქმნის. საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, პოლიტიკურ ინტეგრაციასა და რეგიონის უსაფრთხოების სისტემაზე. საქართველოსა და აზერბაიჯანს, როგორც მოკავშირეებს, პარტნიორებსა და მეგობრულ ქვეყნებს რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ“ – განაცხადეს შეხვედრის მონაწილეებმა.

სხდომაზე გადაწყდა, რომ შემდეგი შეხვედრები როგორც აზერბაიჯანში, ისე ყაზახეთში გაიმართება.

როგორც ცნობილია, საქართველო-აზერბაიჯანის სამთავრობოთაშორისო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში ვიზიტის დროს იქნა მიღებული, სადაც მოძმე ქვეყნების სამომავლო თანამშრომლობის გაფართოების საკითხები განიხილებოდა.

ამ ვიზიტის შემდეგ, 23 ივლისს ბაქოში აზერბაიჯან-საქართველოს სამთავრობოთაშორისი კომისიის მეექვსე სხდომა ჩატარდა, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმაც მიიღო მონაწილეობა. სხდომის შედეგად ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოსა და აზერბაიჯანის სატრანსპორტო დერეფნების კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ.

მემორანდუმის ფარგლებში შეიქმნა საბჭო, რომლის ფუნქციებში სატრანსპორტო დერეფნების შექმნის შესახებ მსხვილმასშტაბიანი პროექტების რეალიზაციის პროცესის კონტროლი შედის.

საბჭოს აზერბაიჯანული მხრიდან ტრანსპორტის მინისტრი ზია მამედოვი ჩაუდგა სათავეში, ქართული მხრიდან კი – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი. საბჭოს შემადგენლობაში აზერბაიჯანის მხრიდან ტრანსპორტის სამინისტროს, დახურული სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანული სარკინიგზო გზების“, კომპანია „სოკარის“, საზღვაო ნაოსნობის ადმინისტრაციის „კასპარის“ წარმომადგენლები შედიან, ხოლო საქართველოს მხრიდან – საზღვაო პორტების, „საქართველოს რკინიგზის“ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

**„პირველი“**

◉ თავდაცვის სისტემა მშვიდობისა და ომის ჟამს

# ყარყარაშვილი „ლეგიონს“ ქმნის



**იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლებაში ჯერ რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეების დაკავება დაიწყო აბსურდული ბრალდებებით (დეზერტირობა, პოსტის მიტოვება და სხვა), შემდეგ კი ნებაყოფლობითა თუ ხელმძღვანელების მიერ შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილთ მიადგა, ფაქტობრივად დაუცველნი დარჩნენ ვეტერანები და მონაწილეები.** კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურეებსა და გასამხედროებული ორგანიზაციების წევრებს არა აქვთ პროფესიული კავშირის შექმნის უფლება (თუმცა არსებული „სამოქალაქო“ პროფკავშირები ხომ საერთოდ უმოქმედოდ არიანძ. ნულის დონემდეა დასული ომის მონაწილეთა და ვეტერანთა დეპარტამენტის როლი. არც არის გასაკვირი. ის ხომ სახელმწიფო ბიჯეტიდან ფინანსდება და მისი ხელმძღვანელები ხელისუფლებიდან არიან ხელდასხმულნი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დრომ მოითხოვა ისეთი არასახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ჩამოთვლილ კატეგორიას გარკვეული პრობლემების მოხსნაში მაინც დაეხმარებოდა.

ცოტა ხნის წინათ ექსთავდაცვის მინისტრ, გენერალ გია ყარყარაშვილის ინიციატივით დაფუძნდა საქართველოს ომის მონაწილეთა სამოქალაქო კავშირი – „საქართველოს ლეგიონი“. მასში ჯერჯერობით გაერთიანებულები არიან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანები, თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილი უფროსი ოფიცრები, რომელთაც ერაყისა და ავღანეთის ოპერაციებში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

გიორგი ყარყარაშვილის თქმით, „ლეგიონში“ გაწევრება შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლისთვისაც ძვირფასია ქვეყნის აწმყო და მომავალი. ორგანიზაციის ემბლემაა ყაყაჩო, როგორც ეს მსგავსი საზღვარგარეთული ორგანიზაციებისთვისაა დამახასიათებელი.

როგორც ცნობილია, ხელისუფლება აპირებს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ყველა სოფელში რაზმის შექმნას. „ლეგიონის“ დამფუძნებელთა განცხადებით, ისინი დაელოდებიან უსაფრთხოების კონცეფციის გამოქვეყნებას და შეისწავლიან, რამდენად შეესაბამება ის ქვეყნისა და სამხედრო ძალების საბრძოლო მზადყოფნისთვის უზრუნველყოფას.

ყარყარაშვილის განცხადებით, ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილ ოფიცრებთან ერთად უახლოს მომავალში შეიმუშავებს და საჯარო განხილვისთვის წარადგენს საკუთარ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს თავდაცვის სისტემა მშვიდობიანობისა და ომის პირობებში. განსახილველად გამოვა საკითხი სამობილიზაციო რესურსის გამოყენებისა და ორგანიზებული რეზერვის შექმნის წესის შესახებ.

ექსმინისტრის განცხადებით, შესაძლებელია სახელმწიფომ არ გაითვალისწინოს სისტემიდან დათხოვნილი მაღალკვალიფიციური ოფიცრების გამოცდილება და ხედვა. გენერალი თვლის, რომ დღეს ქვეყნისათვის №1 ამოცანაა დეოკუპაციის პროცესის გამოყენება და ამისთვის ყველა შესაძლებლობა უნდა იქნეს ამუშავებული.

**ზაზა გუმბარიძე**

◉ რეპლიკა

# არ ვათქმევინო...

**ეს ხომ იმას ნიშნავს: მე კი კარგად ვიცი, შემოთავაზებული გზა მიზნამდე არ მიგვიყვანს, არჩეული საშუალებით ჩანაფიქრი ვერ განხორციელდება, სავსებით დარწმუნებული ვარ ამგვარი მცდელობის განუხორციელებლობაში და მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც, დიახ, მაინც ვარჩევ, ყველაფერზე თვალი დავხუჭო, ოღონდ, ღმერთო მაღალო, არავის არაფერი ვათქმევინო!**

ახლახან ერთი პარტიის სამოქმედო გეგმას გავეცანით და ისეთმა განცდამ შეგვიპყრო, რომ იმ ადამიანების წრეში აღმოვჩნდით, რომლებსაც საარჩევნო კოდექსი სურთ იქამდე სრულყონ, რომ გაყალბების დიდოსტატებსაც კი არაფერი ათქმევინონ, არადა, ოინის არსი ის არის, რომ მისმა ავტორებმა ოპოზიცია საარჩევნო კოდექსის უსასრულოდ დახვეწის პროცესში ჩაითრიონ და სამართლიანობის ოფიციალურ დამცველთა სახელით კოდექსის დახვეწის პროცესი უსასრულოდ წელონ იქამდე, სანამ სავარძლებს ჩაბღაუჭებულებს დაუპროგრამირებელი ვითარება სკამებს არ გამოაცლის. საკვირველი კია, რომ „არ ვათქმევინოს“ მიმართულებით კოდექსის დახვეწა დღესაც გრძელდება.

სხვათა შორის, როცა ერთ-ერთი ჩვენგანი თავის მოსაზრებას პარტიის ოფიციალურ წარმომადგენელს უზიარებდა, ძალიან შორს იდგა იმ გამბედაობის შეგრძნებისაგან, რომელიც უნდა ჰქონოდა დიდად ცნობილ მთქმელს საუკუნეებსგამოყოლილ ორად ორი სიტყვისა: „მაინც ბრუნავს“!

ნუთუ ამ ჩვენს დღევანდელ ვითარებაშიც ჩვეულებრივი ადამიანური გულწრფელობა („მოყვარეს პირში უძრახე“ძ რაღაც წარმოუდგენელ გამბედაობად უნდა ითვლებოდეს: არადა, ესეც ხომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობაა, საკუთარი აზრის გამოთქმის გარეშე საზოგადოება ვერ ფუნქციონირებს, მაგრამ უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აზრის ღირებულებას ჰორიზონტის გაფართოების მუდმივი მოთხოვნილება აპირობებს.

ფელინი თავის წიგნში „როგორ კეთდება ფილმი“ მშობელი ხალხის მიმართ შენიშნავს: „ჩვენ ვცხოვრობთ კარგი ამინდის, კარგი მოსავლის, კარგი ადგილის შოვნის, კარგი ხელფასის, კარგი დასვენებისა და გართობის იმედით, მაგრამ ამ იმედების ჩამონათვალში რატომღაც გამორჩენილია დაჭკვიანების იმედი“.

ფელინის ამ ჩანაწერიდან ჩვენთვის მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გამოტანა იაზრება: ბატონებო, სალი გონების ამოქმედებას ნუღარ დავაყოვნებთ!

**მიხეილ გიჟიმყრელი,**
**გიორგი გიჟიმყრელი**

◉ ინფორმაცია

## სეპარატისტები გაეროსთან თანამშრომლობაზე თანახმა არიან

**აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთის ტერიტორიაზე გაეროს დამკვირვებლების შეშვების შესაძლებლობაზე ალაპარაკდნენ. ამასთან დაკავშირებული პროექტის წარდგენას კი ისინი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდზე აპირებენ.**

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მორიგ რაუნდზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ახალი პროექტით წარდგება. ეს განცხადება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის რწმუნებულმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ გააკეთა.**

**მისივე თქმით, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების სულ ოთხი პროექტი არსებობს – რუსული, ქართული, აფხაზური და სამხრეთოსური.**

**აფხაზური პროექტი ჩირიკბას თქმით, „ორი ძირითადი დებულებისგან შედგება. ესაა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმება და რეგიონში სტაბილური და მშვიდობიანი სიტუაციის შენარჩუნების გარანტიის მოთხოვნა.**

**ამასთან ერთად, ჩირიკბა აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, შეთანხმების რეალიზაციის მექანიზმის ერთ-ერთ ელემენტად, განხილული იყოს „აფხაზეთსა და საქართველოს შორის არსებული საზღვრის ორივე მხარეს გაეროს დამკვირვებლების განთავსების საკითხი“.**

**– ეს არ იქნება სამშვიდობო ძალა, ეს შესაძლოა იყოს გაეროს დამკვირვებელთა საგუშაგოები, ანუ ჩვენი მხრიდან გაეროს საგუშაგო და ქართული მხრიდან ევროკავშირის საგუშაგო. ეს კონტინგენტი დააფიქსირებს სიტუაციას და გააკეთებს ანგარიშს იმ შემთხვევაში, თუკი სიტუაციის ესკალაციას ექნება ადგილი, – აცხადებს ჩირიკბა და დასძენს, რომ ყველა დეტალი ჯერჯერობით განხილვის პროცესშია და „აფხაზური მხარე მზადაა სხვა ალტერნატიული ვარიანტების განსახილველად“.**

ჯი-ეიჩ-ენი

კრიმინალი

# შეწყალება ან სიკვდილი!

## ხელისუფლების მიზანია პატიმარი ციხიდან ავადმყოფობით არ განთავისუფლდეს

***არც ისე დიდი ხნის წინათ ფსიქიკურად დაავადებულმა გიორგი გიუნაშვილმა თავისთან სტუმრად მყოფი ბიძაშვილი მარინა გიუნაშვილი დანით მოკლა, დაანაწევრა. დილით კი ხორცი მოხარშა და შეჭამა. იგი დააკავეს. მას გაქცევა არც უცდია. სათანადო მკურნალობის გავლის შემდეგ გიუნაშვილი გამოჯანმრთელდა. როდესაც ჩადენილი გააცნობიერა, ინფარქტით გარდაიცვალა.***

### ავადმყოფთა აღრიცხვიანობა მოშლილია

**როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ფსიქიკურად დაავადებულთა აღრიცხვა 2007 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. 3 წლის წინანდელი მონაცემებით ფსიქიკური გართულების მქონეა 72588 კაცი. მათ შორის ბავშვია 1467; არაოფიციალური მონაცემებით კი მათი რაოდენობა 100 ათასს აჭარბებს, რომელთაგან 5 ათასზე მეტი ბავშვია. მათთვის ქვეყანაში 6 საავადმყოფოა 1190 ადგილით.** ორია თბილისში. იმის გამო, რომ „ვარდოსნებმა“ მკურნალობა ფასიანი გახადეს, დაავადებულთა უმეტესობა საავადმყოფოებს ვერ მიმართავს. საავადმყოფოებს ძირითადად უკანასკნელ სტადიაში მყოფი ან შეძლებული ოჯახების წარმომადგენლები მიმართავენ.

ადრე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად შემმოწმებლებმა განაცხადეს, რომ საავადმყოფოებში არ არსებობს შიდა განაწესი, რაც ადგილობრივ მკურნალს საშუალებას აძლევს სურვილისამებრ მოიქცეს და ასევე მოექცეს პაციენტებს. თითქმის 20 წელია საშუალო მედპერსონალს არ გაუვლია სპეცმომზადება. დაბალი ანაზღაურების გამო, ამ თანამდებობებზე სამუშაოდ იღებენ არაკვალიფიციურ შემთხვევით პირებს. მათი განცხადებით კი, ისე რომ ავადმყოფებს აქვთ პერსონალური ჯაგრისები, საპონი და ა. შ. დაავადებულთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით და მწირი დაფინანსებებით ხსნიან.

როგორც მონიტორინგის ჯგუფის წევრები ასკვნიან, ეტყობა საჩივრების ყუთები მოსულთათვის თვალის ახვევას ემსახურება. ავადმყოფებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ყუთებთან ყოველთვის მორიგეობენ სანიტრები, ექთნები ან თუნდაც ექიმები. ისინი უშლიან ავადმყოფს ყუთებთან მიახლოებას და თვლიან, რომ „წერომანია“ დაავადებულების აკვიატებაა. შემმოწმებლებს ავადმყოფებმა ისიც გაუმხილეს, რომ მათი დაჩქმეტილი და დალურჯებული ხელები, მედპერსონალის დამსახურებაა. თეთრხალათიანები კი თავის მხრივ ყოველივეს პაციენტთა შორის მომხდარ კონფლიქტებს აბრალებენ. მედპერსონალი საავადმყოფოში მყოფთ ავალებს სანიტრის მოვალეობის შესრულებას – ტუალეტების, კორიდორების დალაგებას, ჩაწოლილი მძიმე ავადმყოფების მოვლას და ა. შ. საშუალო მედპერსონალი კი ისე ყოფილა გაუთვითცნობიერებელი საკუთარ უფლება-მოვალეობებში, რომ დაუფარავად აცხადებენ – „შრომითი დასაქმება სამკურნალო თერაპიააო“.

### უმეთვალყუროდ მიტოვებული შიზოფრენიით დაავადებულები ყველასთვის საშიშია

**ზესტაფონელმა თედო გოდაბრელიძემ სრულიად უმიზეზოდ, სანადირო თოფით დახოცა დედა, მამა, ძმა, რძალი და მძმისშვილი. სიკვდილს შემთხვევით მხოლოდ ერთი – ძმისშვილი გადაურჩა.**

მეზობლები აცხადებენ, რომ ზომების დროული მიღების შემთხვევაში ტრაგედია არ დატრიალდებოდა. გოდაბრელიძეები მალავდნენ ოჯახის წევრის ავადმყოფობას, თუმცა მეზობლები ამჩნევდნენ გადახრებს. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, სნეულების შესახებ ოჯახიცა და სამეზობლოც დუმდნენ. ამას კი ტრაგედია მოჰყვა.

ფსიქიკურად დაავადებულმა 44 წლის ალექსანდრე ჩანცევმა დანის რამდენიმე დარტყმით მოკლა დედა – იზოლდა ახვლედიანი. გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ მკვლელობაში ბრალდებულს ჯერ კიდევ მერვე კლასიდან აღენიშნებოდა შიზოიდური გადახრები. მან ქრონიკული გადახრების სრული კურსით მკურნალობა რამდენიმეჯერ გაიარა. სრული კურსი აქვს გავლილი დნეპროპეტროვსკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (დოკუმენტი არსებობსძ. მაგრამ სახელმწიფო ექსპერტიზამ არსებულის სრული უგულებელყოფით ჭკუასუსტობის დასკვნა გასცა. სასამართლომ მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ტუსაღმა გლდანის ციხეში არაერთხელ სცადა თვითმკვლელობა, მაგრამ გადაარჩინეს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ გადაჰყავდათ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მხოლოდ ჩვენი არასამთავრობოებისა და საერთაშორისო უფლებების დამცველი ორგანიზაციების აქტიური ჩარევითა და კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გადაიყვანეს ჩანცევი სამკურნალოდ.

**ნათია კვესელავა (ფსიქიატრი):** – ყველა ნორმალურ სახელმწიფოში დაპატიმრებულს საპყრობილეში გადაყვანამდე ფსიქიატრი უტარებს ფსიქო-ტესტირებას. დგინდება მისი ფსიქიკური მდგომარეობა, გარშემომყოფთათვის მოსალოდნელი რისკ-ფაქტორები. ანომალიის გამოვლენის შემთხვევაში ფსიქიატრი მასთან პერსონალურად იწყებს მუშაობას. რაიმე ექსცესის შემთხვევაში, სატუსაღოს ადმინისტრაციასთან ერთად დგება ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის პასუხისმგებლობის საკითხიც.

ექსპერტები დაუშვებლად თვლიან სულიერი ავადმყოფი პატიმრის ჯანმრთელთან ერთ საკანში მოთავსებას. არც ისე დიდი ხნის წინათ ფსიქიკურად დაავადებულმა პატიმარმა ცხომელიძემ სამართებლით (საიდან სამართებელი – ვითომცდა უმკაცრესი რეჟიმის პირობებში?ძ სასიკვდილოდ დაჭრა 4 თანამოსაკნე, შემდეგ კი თავი მოიკლა.

**ნინო შერაზადაშვილი (ფსიქოლოგი):** – ცივილიზებულ ქვეყნებში სასჯელმისჯილებთან ფსიქოლოგის ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ფსიქოლოგები ცდილობენ გისოსებს მიღმა მოხვედრილების გარე პირობებთან ადაპტირებას (პირველად მოხვედრილებსძ. ჩვენთან ამ კურსით ხომ არაფერი კეთდება. საპატიმროებში აუტანელი პირობებია. ფსიქოლოგიურად მოუმზადებლის უმძიმეს საყოფაცხოვრებო პირობებში მოხვედრა, მძიმე მორალური და ფიზიკური წნეხის ქვეშ მოქცევა იწვევს სტრესს, ფსიქიკურ აფექტს. მისი შედეგებია ციხე-კოლონიებში მომხდარი მკვლელობები, თვითმკვლელობები. ფსიქოლოგები განსაკუთრებით საჭირონი არიან არასრულწლოვანებისთვის. თუმცა მათი ამ კუთხით მომზადებაზე ხელისუფლება თავს არ იწუხებს.

### სიკვდილის პირას თუ არ მივიდა, პატიმარი სამკურნალოდ არ გადაჰყავთ

**უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს ციხე-კოლონიებში ექიმი-ფსიქიატრის არარსებობის გამო ვერ მკურნალობენ. როდესაც პატიმრის ახლობლები ექიმის გარედან შეყვანას ითხოვს, ადგილობრივი ადმინისტრაციები თითქმის გადაულახავ წინაღობებს ქმნიან. თავის მხრივ ექიმი-„ნადზირატელები“ შესაბამისი ტექნიკის არარსებობას იმიზეზებენ. პრობლემებია მედიკამენტებით მომარაგების მხრივაც.**

თუ ავადმყოფი ექსპერტიზაზე გახდა გასაყვანი, ფსიქიატრიული ექსპერტიზის სამსახური, მასთან მოხვედრილ ყველა პირს ერთნაირ დასკვნას აძლევს – „რეაქტიული ფსიქოზი“.

**ნუნუ ნანეიშვილი (ფსიქიატრი):** შეუძლებელია ავადმყოფს, შინაგანი აშლილობა და რეაქტიული ფსიქოზი ერთდროულად სჭირდეს. ორგანული შინაგანი აშლილობა, წლების განმავლობაში შეძენილი ფსიქიკური დაავადებაა. ის შესულია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადასინჯვაში. მასზე ჩვენი სახელმწიფო ექსპერტების მიდგომა, რომ ეს არ არის დაავადება, იგივეა, რაც მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსში შესულ დანაშაულზე თქვას – კი არის დანაშაული, მაგრამ მე ასე არ ვთვლიო. როგორც ხედავთ განუკითხაობა სხვა სფეროების მსგავსად ფსიქიატრიაშიცაა.

### „დასადებილებელი“ პრეპარატები

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მართალია, მუდამ უჩივის მედიკამენტების უქონლობას, მაგრამ, როგორც ჩანს გამოსავალს მიაგნეს. მძიმე ავადმყოფებს ძლიერი ტკივილგამაყუჩებლებით მკურნალობენ. ადვოკატი ლია აფციაური და მისი კოლეგები აცხადებენ, რომ იმათ, ვისაც ტკივილები სტანჯავთ, ნებაყოფლობით ურიგებენ ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს – „ამიტრიპლინსა“ და „ანალეპტინს“.**

მედიკოსების განმარტებით, ამიტრიპლინი გამოიყენება დეპრესიების, დეპრესიული სინდრომის, შიზოფრენიული ფსიქოზის, ემოციური აშლილობის დროს. მისი გვერდითი ეფექტია – ძილიანობა, თავბრუსხვევა, ტაქიკარდია, წნევის მომატება და ა. შ.

„ანალეპტინს“ მოიხმარენ შიზოფრენიის მწვავე და ქრონიკული ფორმების მანიაკალური მდგომარეობის, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის, აგრესიულობისა და ძილის დარღვევის პირობებში. გვერდითი მოვლენებია – ძილიანობა, კუნთების მოშვება, გონების არევა. ყველა მედიცინის მუშაკი თანხმდება ერთ აზრზე, რომ დაუშვებელია ამ პრეპარატების თვითნებური მიღება. ის ექიმის მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. როგორც ადვოკატები აცხადებენ დასახელებული წამლების მიწოდება გამიზნულად ხდება, რათა მოხდეს მსჯავრდებულების ნერვული სისტემის მოშლა, სრული დეგრადაცია. იმას, რომ ამიტრიპლინსა და ანალეპტინს პატიმრებს ურიგებენ, პატიმრობაგამოვლილი ჟურნალისტი შალვა რამიშვილიც ადასტურებს. ოღონდ, ტუსაღებისათვის წამლების მიწოდება ხდება არაოფიციალურად, ფარულად, აღნიშნავს იგი.

### პირველობისა და „ნარცისიზმის“ სინდრომით შეპყრობილები

**უკვე ყური მიეჩვია პრეზიდენტის სიტყვებს „პირველად“ – საქართველოში, ევროპაში და ა. შ. ეს მისი ლექსიკონის შეუცვლელი ფრაზებია. ბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ მომღერალთა გუნდთან ერთად სიმღერის „ჩემი გმირი გიწოდეს“ ფონზე ხვდებოდა ამომრჩეველს. როგორც ჩანს „ნაცების“ ლიდერის შემართება ამ კუთხით თანაპარტიულთათვის გადამდები აღმოჩნდა და ყველამ თავის სფეროში შესაძლებლობისდამიხედვით გაუბერა“.**

არც ისე დიდი ხნის წინ კოპიტნარის აეროპორტში მოხდა დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვა-დატაცება. რაღაცაში პოლიციასაც ედებოდა ბრალი. იმ პერიოდში კოპიტნარის აეროპორტის პოლიციაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი გოჩა ბაკურაძეც შარში იყო გახვეული. როგორც ამბობენ, პარლამენტარ გიორგი თევდორაძის დახმარებით მოახერხა მან თავის დაძვრენა და დაინიშნა ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორად ქ. ხონში.

„ვარდოსნები“ ფსიქიატრიულთან შეხების არმქონე პიროვნების ამ თანამდებობაზე დანიშვნას იმით ხსნიდნენ, რომ ეს არის პოლიტიკური თანამდებობა და არ არის აუცილებელი მას სპეციალისტი ხელმძღვანელობდესო. მის მოადგილედ ყოფილი პროკურორი გიორგი გიორხელიძე დაინიშნა. ბაკურაძის პოლიტიკოსობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ცოტა ხანში საავადმყოფო კოლონიას დაამსგავსა. ავადმყოფების გარდა მისი მედპერსონალსაც ეშინოდა. არადა იქ პატიმრების გარდა სხვა სულიერად დაავადებულებიც მკურნალობენ. ბაკურაძის ფანტაზია იქამდე მივიდა, რომ შიზოფრენიით დაავადებულებს მისდამი მიძღვნილ საქებარ ლექსებს აწერინებდა, რომლებიც ერთად შეაგროვა და საკუთარი სახსრებით კრებულიც გამოსცა(?!ძ (ჩნდება კითხვა – ვინ არის გიჟი. ნარცისიზმით შეპყრობილი ბაკურაძე თუ შიზოფრენიით დაავადებული პაციენტები?!

**აქედან გამომდინარე არასამთავრობოები, ადვოკატები ასკვნიან, რომ ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს პატიმარი ციხიდან ავადმყოფობის დიაგნოზით არ გაათავისუფლოს. გამოსავალი ორია – შეწყალება ან სიკვდილი.**

**ზაზა ბილიხოძე**



განსჯა



უცხოელებისთვის კი ჩვენ ყველანი – ჩერნობილელი ქართველები ვართ!

# „შენ თვითონ ხარ ხოხოლი!"

## რატომ არის ეროვნებათშორისი სტერეოტიპები ასეთი საწყენი?

**უკრაინის ერთ-ერთ ტელეარხზე დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაუშვეს სახუმარო სოციალური რეკლამა, სადაც უკრაინის ჰიმნს მღერიან სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები: პოლონელები, რუსები, სომხები, ბოშები და ა.შ. ბელარუსები მსჯელობენ, როგორ მოხარშონ კომპოტი კარტოფილისგან, უნგრელები მოცურავე გოგონებს უყურებენ... აი მხოლოდ რუსეთთან დაკავშირებული იუმორია მოშავო. გაქუცულ ბაბუას მეზღვაურის ზოლებიან პერანგში სძინავს პირდაპირ ქუჩაში (ნაქეიფარს), ღიპიანი ჭაბუკი ლამის შუაზე ხევს ბაიანს (ეტყობა მთვრალია)...**

*რუსული სათემო სევასტოპოლში აღშფოთდა, მას შეუერთდნენ უკმაყოფილო სომხები: მათი თანატოლები წარმოჩენილები არიან როლიკში ღარიბ მეწაღეებად. რატომ გვწყინს, როდესაც ვინმე უხეშად მოგვიხსენიებს ეროვნული ნიშნით?*

„ლოთობა, სიზარმაცე, ფეთხუმობა რუსებისთვის, – ამბობს კიევის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის წარმომადგენელი ირინა ომელჩუკი, – ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული სტერეოტიპია. დათვიც კი ბალალაიკით არ გამოჩნდებოდა როლიკში ასე საწყენად. ნაბდის ჩექმები, ყურებიანი ქუდი, პელმენები, წითელი ხიზილალა – კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, რასთან ასოცირებაშიც მოდის რუსეთი, მაგრამ რატომ ვიღებთ ნეგატივს?

**ერთმანეთის გამასხარავება რუსეთსა და უკრაინას შორის ასეთი მტკივნეულია იმიტომ, რომ გვაგონებს საქმის გარჩევას ახლახან გაყრილ ცოლ-ქმარს შორის, ერთ ჭერქვეშ რომ ცხოვრობდნენ მრავალი წელიწადი.** „თავად უკრაინელები ისე არ ბრაზდებიან", როცა მათ უძახიან „ხოხოლებსაც" და ბენდერელებს, როგორც რუსების უმცროს ძმებს – არის ამაში დამცირების რაღაც კომპლექსი ოჯახში. წყენის სხვა მუხლია ქონი („სალო"ძ, რითაც უკრაინელი ყველას უნდა გაუმასპინძლდეს, თუმცა სტატისტიკით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი მის დანახვასაც ვერ იტანს. სიძუნწე, ეშმაკობა – ორი თვისებაა, რომლებსაც ხშირად მიაწერენ უკრაინელ ხალხს, არანაკლებ საწყენი, რაც რუსებისთვის ლოთობა და ფეთხუმობაა. ვაი რომ, თუ უცხოურ ეროვნებებს ჩვენ ვაფასებთ უმეტეს შემთხვევაში პლუსის ნიშნით: ფრანგები – შესანიშნავი მიჯნურები და მზარეულები არიან, იტალიელები – საუცხოო მომღერლები და ფეხბურთელები, წარმოდგენები ყოფილი სსრ კავშირის ხალხებთან დამოკიდებულებაში უფრო ნეგატიურია.

> *– რატომ ზეიმობს უკრაინა თავისი დამოუკიდებლობის დღეს 24 აგვისტოს?*
> *– იმიტომ რომ ზამთარში უკრაინას ძალიან სჭირდება რუსეთის გაზი!*

### ძუნწები? ჩერჩეტები?

არ მწყინს, როდესაც ქართველებზე საუბრის დროს ხალხი იხსენებს ჩვენს მოსიყვარულეობას ან ღვინის გაღმერთებას, ასეთი სტერეოტიპებით შეიძლება იამაყო კიდეც, – მიაჩნია ჩემს ყოფილ თანაკლასელს, ექიმ ქირურგს თბილისიდან გიორგი ნათაძეს. – არ არის სასიამოვნო სხვა რამ. რომ ყველა ქართველი აეროდრომივით დიდი კეპის ქუდით ვაჭრობს მიხაკებით ან ფორთოხლით. რომ ჩვენ შვილებს შეუძლიათ შევიდნენ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში „ვოლგის" ან ბატკნის ქრთამით. რომ ჩვენ ქალები ლამის შინაური ცხოველების უფლებებით სარგებლობენ. ჩვენი სიმღერები, ცეკვები, სტუმართმოყვარეობა და გემრიელი საჭმელები „ამოტივტივდება" ხოლმე საქართველოს ხსენებაზე სულ უფრო და უფრო იშვიათად, სააკაშვილისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო.

> *სახრჩობელაზე ჰკიდებენ გერმანელს, რუსსა და ბელარუსს, გერმანელი უმალვე მოკვდა, რუსი დიდხანს ბორგავდა, მაგრამ მაინც მოკვდა. ბელარუსი როგორც ჩამოკიდეს, ისეა ისევ ცოცხალი. გაოცებულები ხსნიან მას სახრჩობელიდან და ეკითხებიან, როგორ არის. ის უპასუხებს: „აი, დასაწყისში ცოტა სული მეხუთებოდა, მერე როგორღაც შევეჩვიეო".*

**ყველაზე უსიამოვნო სომხებისთვის – ინტელექტუალური და ამაყი ერისთვის – არის ბრალდება „მოტყუებისკენ მისწრაფებაში".** ვის არ ახსოვს სიტყვები „ეშმაკი სომეხი?" თუმცა ყველა ჩემი ნაცნობი სომეხი – კრისტალურად წმინდა ადამიანია. სამაგიეროდ თავიანთი სიყვარული კონიაკისადმი (განსხვავებით რუსებისგან, რომლებსაც რცხვენიათ არყისადმი სიყვარულიძ, სომხები პირიქით – ამაყობენ.

**ტელევიზიის და განსაკუთრებით პროგრამა „ნაშა რაშას" წყალობით ტაჯიკის სახე ასოცირდება ერთგვარ... სიჩერჩეტესთან.** რავშანი და ჯამბული ამზადებენ წვნიანს კატისგან, ხატავენ ტელევიზორის ეკრანებზე ანდა ფანჯრებზე აკრავენ შპალერს. რამდენიმე ტაჯიკმა ინტერნეტზე მოაწყო კამპანია ტაჯიკის სახის რეაბილიტაციისთვის მოწოდებით – დახურონ შეურაცხმყოფელი გადაცემა. „სცენები, სადაც რავშანი და ჯამბული ამზადებენ საჭმელს უნიტაზში, შეურაცხყოფას აყენებს მუსლიმან ტაჯიკებს, რომლებსაც აქვთ ზუსტი ცნება „ხარამი" – უწმინდური", – წერენ „ტაჯიკი ამხანაგები". და თუმცა პროგრამები განმარტავენ, რომ გასტარბაიტერების სახე – განზოგადებულია, პროგრამა „ნაშა რაშაში" პერიოდულად „იპარება" ხუმრობები ისეთები, როგორიცაა სიტყვა „მოსკვა", რაც ტაჯიკურ ენაზე „რეზინის ქალაქს" ნიშნავს, და ტაჯიკეთის საზოგადოებრიობის აღშფოთება კვლავ იზრდება...

> *– შვილო, ნუ დადიხარ მაგ უნივერსიტეტში – მანდ ხომ მხოლოდ ებრაელები არიან!*
> *– როგორ, დედა?... ლომონოსოვი?*
> *– შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ და არ გესმის... ის ახლა არის ლომონოსოვი, ადრე – ორანიენბაუმი იყო!*

ტაჯიკებამდე დიდი ხნით ადრე სიჩერჩეტის ეტალონი ჩუქჩები იყვნენ. ოდესღაც ჩუქჩა გოგონა ელენა სიტხეისთან ერთად ვმუშაობდი, რომელმაც პირველად მოისმინა ანეკდოტები თემაზე „ჩუქჩა ჩერჩეტია", როდესაც სასწავლებლად დედაქალაქში ჩამოვიდა. და ამტკიცებდა, რომ რუსებმა საწყენი ანეკდოტების შეთხზვა დაიწყეს წყენის გამო: XVII საუკუნიდან ცდილობდნენ მათს დამორჩილებას, მაგრამ მარცხს განიცდიდნენ – ჩუქჩები ხომ ჩრდილოეთის საუკეთესო მეომრებად ითვლებოდნენ. სინამდვილეში ჩუქჩები სულაც არ არიან დანარჩენებზე უფრო სულელები, უბრალოდ უფრო უბრალოდ ცხოვრობენ. მაგალითად, სახელის, მამის სახელისა და გვარის ნაცვლად მათ აქვთ მხოლოდ სახელი (რუსეთის პასპორტებისთვის ხელოვნურად წერენ ყველაფერ დანარჩენსძ.

> *ერთხელ ჩუქჩამ გამომცემლობაში მიიტანა თავისი რომანი. რედაქტორმა წაიკითხა და ეუბნება: „ცოტა სუსტია... კარგი იქნებოდა წაგეკითხათ კლასიკოსები – ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი..." „მაგრამ, – ამაყად მიუგო ავტორმა, – ჩუქჩა მკითხველი არა, ჩუქჩა – მწერალია!"*

### ცხვირი ხო ცოტა დიდი აქვს...

**ებრაელებს საწყენი იარლიყები, ალბათ, ყველაზე მეტი შეხვდათ. „წუწურაქები, ცბიერები, ეჯავრებათ ყველა". დიდი ცხვირებით". სულ ფარშირებულ თევზს ჭამენ, შესვენებების დროს კი ყველას ატყუებენ...** მაგრამ წყენას ებრაელები განსაკუთრებით ვერც ასწრებენ – მუშაობენ. ისინი ხომ ამავე დროს ყველაზე ჭკვიანები და წარმატებულებიც არიან", თუმცა ეს სტერეოტიპი, პოზიტიური, ყოფიერებაში უფრო იშვიათად „ამოტივტივდება" ხოლმე.

> *თუ მიგაჩნიათ, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, მიბრძანდით უახლოეს მშენებლობაზე და უყურეთ კეთილშობილებს.*

**საერთოდ, ბოშებს სწყინთ ის, რომ ისინი მიაჩნიათ ქურდებად და მათხოვრებად, ბალტიისპირელებს – თითქოს ისინი დამუხრუჭებულები არიან, ბელარუსებს... ბელარუსები კი პრაქტიკულად არაფერზე ბრაზობენ, ვინაიდან მათთვის საწყენი სტერეოტიპები არაა.** ვთქვათ, მათი ნახევარზე მეტი – ყოფილი პარტიზანია, მეორე ნახევარი ზის ტრაქტორ „ბელარუსზე" – განა ეს დამამცირებელია? „და საერთოდ, – ასკვნის ირინა ომელჩუკი, – უკეთესი იქნება, თუ მეზობლების სახეს ჩამოვაყალიბებთ უფრო კეთილად და სასიამოვნოდ, ყოფილი სსრ კავშირის მცხოვრებელი ხომ, როდესაც უცხოეთში მოხვდება, მას შეიძლება მიაკერონ სრულიად სხვის იარლიყი, წარსულში „მოძმე" ეროვნებისა. რამდენჯერ ყოფილა, რომ ჩემთან რუსებს მისალმებიან „ო-ო-ო! ჩერნობილი!" ანდა გამოხატავდნენ აღტაცებას „რუსული ეროვნული კერძით – მწვადით".

**ოლგა კოსტენკო**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ინფორმაცია

## ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება გაორმაგდება

**ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს ენერგეტიკული დერეფნით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება 10 მლნ. ტონიდან 20 მლნ. ტონამდე გაიზრდება.**

**აღნიშნული საკითხი თბილისში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამთავრობო დელეგაციების შეხვედრისას იქნა განხილული.**

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის როვნაგ აბდულაევის განმარტებით, თავის მხრივ აზერბაიჯანი მზადაა რკინიგზის განვითარებისათვის 1 მლრდ. დოლარის ინვესტიცია განახორციელოს. რაც ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჩვენი კარაბადინი

## როგორ ვებრძოლოთ ზაფხულის უძილობას ადრეულ შემოდგომაზე?



მოკლე ღამეები, სიცხე, ახალგაზრდობის ხმაური ფანჯრებსა და კარებს მიღმა სიყვარულის შესახებ და გაჭიანურებული ღრეობის შემდეგ... თითქოს ეს ყველაფერი უკან დარჩა. მაგრამ ჯერ ადრეა მოდუნება. სექტემბერმა შეიძლება გვარიანად კიდევ გაგვაწამოს დამხუთავი სიცხით. როგორ დავიცვათ თავი უძილობისგან ადრეული შემოდგომით? პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარება კომპლექსური მიდგომა.

### ვიჭეროთ დრაკულას

**ზაფხულის უძილობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია – მელატონინის ჰორმონის უკმარისობა. სწორედ ის აწესრიგებს ბიორიტმებს – გვეხმარება შევეგუოთ დღისა და ღამის ცვლას, გვიბიძგებს ლოგინისკენ სიბნელის დადგომასთან ერთად. ჰორმონის გამომუშავება ზრდას იწყებს სიბნელეში, მაქსიმუმს აღწევს ღამით (შუაღამიდან დილის 4 საათამდე ორგანიზმი აწარმოებს 30-ჯერ მეტ მელატონინს, ვიდრე დღისით, განთიადისკენ კი ეცემა. ღამის აქტიურობისა და შუქის შიშის გამო მელატონინს „დრაკულას ჰორმონს“ უწოდებენ.**

ზაფხულსა და ადრეულ შემოდგომაზე უკუნეთის დეფიციტია, ამიტომ გვძინავს ცოტა! სხვათა შორის, ეს პრობლემები მძიმდება ასაკთან ერთად – 30 წლის შემდეგ ორგანიზმში მელატონინი სულ უფრო და უფრო ცოტა გამომუშავდება, ამიტომ პრობლემები ძილთან დაკავშირებით ძალიან აწუხებთ ხანდაზმულ ადამიანებს.

„დრაკულას“ დაჭერა შეიძლება ორი ხერხით.

1. მოვიწყოთ უკუნეთი ღამე. მჭიდრო შტორები ვერ დაგვეხმარებიან, თუ მიჩვეული ხართ ჩართულ ტელევიზორთან, კომპიუტერთან ან ღამის ლამპასთან ძილს. ჩაუმქრალი ეკრანის ან სუსტი ნათურის შუქი საკმარისია, რომ დაირღვეს მელატონინის გამომუშავება.

2. ღრმა ძილში დაგეხმარებათ მელატონინი აბებში. ზაფხულობით ის შეიძლება მიიღოთ კურსით – 1-1,5 მილიგრამი ღამისთვის, 2-3-ჯერ კვირაში ან უფრო ხშირადაც. მელატონინი არ არის ძილის საშუალება, არ იძლევა ამ კლასის პრეპარატებისთვის დამახასიათებელ გვერდით ეფექტებს, მაგრამ ამ დროს გვეხმარება დავიძინოთ მალე და აღარ გაგვეღვიძოს ღამეში ასჯერ.



### ღვეზელი ძილისთვის

**დამატებითი მელატონინი შეიძლება მიიღოთ საჭმელთან ერთად. ის არის ხახვში, ალუბალში, ბანანში, მარცვლეულში (ბრინჯი, შვრია, ქერი, სიმინდიძ, პიტნაში, წითელ ღვინოში. მელატონინის სინთეზისთვის საჭიროა ტრიფტოფანი. ეს ამინომჟავა ბევრია გარგარში, გოგრის თესლში, ნუშში, ნიგოზსა და ინდაურში. არ არის საჭირო კუჭის გადატვირთვა ძილის წინ – ტრიფტოფანი უფრო აქტიურად გამოიმუშავება, როდესაც კუჭი პრაქტიკულად ცარიელია. აი რამდენიმე იდეა საძილისპირო ვახშმისთვის.**



● ბრინჯის პუდინგი ახალი ალუბლით. ის რომ მოვამზადოთ, საჭიროა ნახევარი ლიტრი რძე, ნახევარი ჭიქა წვრილი ბრინჯი, ცოტა შაქარი, ერთი მწიკვი მუსკატის ზეთი. ამას ყველაფერს ვაცხელებთ სქელძირიან ქვაბში და ვადუღებთ მორევით დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში. როგორც მზად იქნება პუდინგი, დაუმატებთ მას ახალი ალუბალი უკურკოდ, აურიეთ – და შეიძლება მიიტანოთ მაგიდაზე.

● ბუტერბროდი მოხარშული ინდაურით ხორბლის პურთან ერთად.

● თბილი რძე ვისკისთან ერთად – დაახლოებით ერთი სუფრის კოვზი ალკოჰოლი ერთ ჭიქაზე. სასმელს შეიძლება დავუმატოთ შაქარი და მოვაყაროთ დარიჩინი. რძე შეიცავს ტრიფტოფანს – ამინომჟავას, რომელიც ადუნებს კუნთებს.

● ბანანის კოქტეილი კვერცხით: ერთი ჭიქა რძეს თქვეფენ ბლენდერში უმ კვერცხთან და ნახევარ ბანანთან ერთად. შეიძლება კვერცხის გარეშეც – მაშინ გამოვა რძე-ბანანის კოქტეილი.

ძილის მომგვრელი ეფექტი აქვს ჩვეულებრივ ხახვსაც.

### მოვიწყოთ ყოფა

**შევგრილდეთ. კონდიციონერისა და ვენტილატორის გარეშე სიცხეში დაძინება ძნელია. თუ ჯერ ვერ მოგისწრიათ, შეიძინეთ ისინი. ლოგინის თეთრეული ჯობს შევარჩიოთ ნატურალური მასალისგან – სელისგან ან აბრეშუმისგან. კანის ასეთ ქსოვილთან შეხება ამცირებს ტემპერატურის შეგრძნებას 4-5 გრადუსით! შეიძლება ტანზე წავისვათ კრემი მენთოლით – შესანიშნავად აცივებს?!**



გავიმიჯნოთ. თუ ეზოში ხმაურობენ და არ გვაძინებენ, ამისგან პირად იზოლირებაში დაგვეხმარება შტორები, შუქს რომ არ ატარებენ. ჟალუზები ქსოვილებისგან blackout იძლევიან 100-პროცენტიან დაბნელებას. მათ ამზადებენ შეკვეთით, სხვადასხვა ფერისაა, ხელით ან პულტით სამართავია.

მოვემზადოთ. ნუ დაივიწყებთ სომნოლოგების ძველ რეკომენდაციებს – გაისეირნეთ ძილის წინ. მარტივი საშუალებაა, მაგრამ ქმედითი.

ძილისთვის განგაწყობთ თბილი აბაზანა ლავანდის ან ვარდის არომატული ზეთებით.

### ვინც გვიან დგება, ნაკლებად იღლება

**სასწავლო დღის დასაწყისის სულ ნახევარი საათით უკან გადაწევა მნიშვნელოვნად უუმჯობესებს მოზარდებს ჯანმრთელობას, განწყობილებას და ფიზიკურ აქტივობას, აღნიშნავენ ამერიკელი მეცნიერები.**

მოზარდის ასაკში ბიოლოგიურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ეგრეთ წოდებული შეყოვნების ფაზა, რომელიც ითვალისწინებს ძილის გვიან დაწყებას და გაღვიძებას ცირკადულ რიტმებში ძვრების ხარჯზე, განმარტავენ მეცნიერები. მოსწავლეთა ძილის ოპტიმალური დროა – 9-10 საათი. მაგრამ თანამედროვე ბავშვები, როგორც წესი, ვერ იძინებენ საღამოს 11 საათზე ადრე, ამიტომ მათი გაღვიძების იდეალური დროა – დილის 8 საათი. მაგრამ სკოლების უმრავლესობაში ამ დროს უკვე იწყება მეცადინეობა.

მკვლევარებმა მოაწყვეს ექსპერიმენტი – ერთ-ერთ სკოლაში მეცადინეობის დაწყება გადაიტანეს ნახევარი საათით გვიან. მოსწავლეთა ძილის ხანგრძლივობა გაიზარდა 45 წუთით და ბევრმა მათგანმა თქვა, რომ ნაკლებად იღლება და ეზრდება მოტივაცია მეცადინეობისთვის, პირველ გაკვეთილზე დაგვიანების რაოდენობა – 36 პროცენტით.

### ჯარიმა მწეველისთვის

**ჯარიმა 2,5 ათასი გირვანქა სტერლინგის (3,9 ათასი დოლარისძ ოდენობით ემუქრება 70 წლის ბრიტანელ შეილე მარტინს სიგარეტის ფერფლის დაყრისთვის ქვაფენილზე.**

ქალი ავტობუსის გაჩერებასთან იდგა ქალაქ ოლდბიურში, ცენტრალურ ინგლისში და ეწეოდა. მისი სიგარეტის ფერფლი დაეცა ასფალტზე. ეს შენიშნა გამვლელმა – მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა, რომელიც აკონტროლებს წესრიგს ქალაქის ქუჩებში.

მან დაუყოვნებლივ გამოუწერა ქალბატონს ჯარიმა 75 გირვანქის (117 დოლარიძ ოდენობით, რის გადახდაზეც მარტინმა უარი თქვა, განაცხადა, რომ მისი საქციელი არ იმსახურებდა ასეთ დიდ ჯარიმას. საქმე ქალაქის სასამართლოს გადაეცა, და ახლა მწეველს ემუქრება ჯარიმა – თითქმის 4 ათასი დოლარი – სიგარეტის ფერფლის გამო, ასფალტზე რომ დაეცა.

### მომავლის სუპერსაკვები

**ბილ გეიტსმა დაიწყო ახალ პროექტზე მუშაობა: მცენარის გამოყვანა, რომელიც შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ ყველა ვიტამინსა და მინერალს. „სუპერსაკვების“ საფუძვლად არჩეულია მარცვლოვანი სორგო.** არჩევანი აიხსნება მისი არაჩვეულებრივი ბიოლოგიური სიმყარისა და უნარის გამო – გაძლოს ყველაზე მძიმე კლიმატურ პირობებში. თანაც სორგი მოითხოვს ძალიან ცოტა წყალს სხვა კულტურებთან შედარებით.

მეცნიერების რამდენიმე ჯგუფი უკვე ცდილობს ინჟინერული გენეტიკის წყალობით მიიღონ მარცვლოვანის ახალი სახეობა, რომელიც შეცვლის კვების ყველა სხვა პროდუქტს.

### მინუს 10 კილოგრამი ბედნიერებისთვის

**ქალების ნახევრისთვის საკუთარი წონის კონტროლი სექსზე უფრო მნიშვნელოვანია, ამტკიცებენ ამერიკელი მკვლევარები, რომლებმაც ათასობით მოხალისე დაკითხეს. ქალების დაახლოებით ნახევარმა აღიარა, რომ სიამოვნებით იტყოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში უარს სექსზე, ვიდრე დაეთანხმებოდა 4 კილოგრამის მომატებაზე. ასეთ მტკიცებას დაეთანხმება მხოლოდ ყოველი მეოთხე მამაკაცი.**

გამოკითხულთა დაახლოებით 66 პროცენტმა უპასუხა, რომ მათ აუცილებლად უნდა დაიკლონ წონაში 10 კილოგრამი, რომ თავი უფრო მიმზიდველად იგრძნონ.

## სოკოები ციფრებსა და ფაქტებში

**თეთრი შხამა სოკოთი მოწამლვის შემთხვევების 40 პროცენტი სიკვდილით მთავრდება.**

სოკოები საშუალოდ 90 პროცენტ წყალს შეიცავენ.

სასიკვდილო დოზა რომ მიიღო, ერთ ჭამაზე უნდა შეჭამო 3-4 კილოგრამი შხამა სოკო.

**უკვე შესწავლილია სოკოს 100 ათასი სახეობა.**

ყველაზე დიდი სოკო წონით 140 კილოგრამი და მოცულობით თითქმის ორი მეტრი ნახეს 1985 წელს ამერიკის ვისკონსინის შტატში.

**ფუნგოთერაპია** – სოკოებით მკურნალობა გამოიყენება ბრონქული ასთმის, ჭრილობების დროს, იმუნიტეტის ასამაღლებლად და სისხლში ქოლესტერინის დონის დასაწევად.



ერთი წლის განმავლობაში მიცელიუმი იზრდება 10-12 სანტიმეტრით.

**თირკმლის სოკო** – მსოფლიოში ყველაზე ძვირი სოკოა. საუკეთესო ხარისხისას ჰყიდიან 1 კილოგრამს 2,5 ათას დოლარად.

ჩვენში მოსახლეობის 25 პროცენტამდე თავად კრეფს სოკოს (იმერეთში ამ პროცესს „სოკოს აყვანას“ ეძახიანძ, 37 პროცენტი ყიდულობს ბაზარში, 16 პროცენტი – მაღაზიებში (ანუ მარკეტებში, როგორც ახლა უწოდებენძ და დაახლოებით ერთი მეშვიდედი საერთოდ არ იყენებს სოკოს საკვებში.

ДОРОВЬЕ

◎ შვილიშვილის სარჩელი

## იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

ვილაპარაკებ რუსებზე, უკიდურესობაში არ ჩავვარდები – არ ვილაპარაკებ ანგლოსაქსებზე ან იაპონელებზე, რომლებსაც თავიანთ სათემოებში თავიანთი პრინციპები აქვთ.

პირველი შეკითხვა – როგორ შეიძლება ხმა მისცე ერთსულოვნად საკითხს, რომელშიც თითოეულის ინტერესი შედის დანარჩენების ინტერესების კონფლიქტში? რუსული სათემოს მკვლევარები გვიპასუხებენ – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათემოს თითოეული წევრი ფიქრობს და ისწრაფვის გამოძებნოს გადაწყვეტილება, რომელიც მას ხელს აძლევს მეორე რიგში, პირველ რიგში კი – მთელ სათემოს. სხვა გადაწყვეტილება არ არის. რუსულ სათემოს (არტელსძ ავტომატურად შემოაქვს ოჯახის წესები – მთავარია, რომ მთელი ოჯახი იყოს კარგად და შენც კარგად იქნები. და რადგანაც რუსული სათემოდან არ დევნიდნენ, ის, ვინც ამ წესებს უგულებელყოფდა, ვინც გაბედავდა ეჩვენებინა სათემოსთვის, რომ ის უკვე აღარ არის ოჯახის წევრი და მისი პრობლემები სათემოს არ აღელვებს (ამ თავხედობის ხარისხის შესაბამისადძ, ხდებოდა „კანონისა და წეს-ჩვეულებების“ გარეშე“, ამ სიტყვის მთელი მნიშვნელობით...

რუსულ სოფლებში არ ყოფილა ქურდობა, არავინ კეტავდა ქოხს, ეხმარებოდნენ მეზობლებს მოსავლის აღებაში, არც კვირა დღეს მუშაობას ერიდებოდნენ, მაგრამ არამზადესთან დაკავშირებით, ვინც გამოავლენდა, რომ ის უგულებელყოფდა სათემოს პრობლემებს, კანონები აღარ არსებობდა – მისთვის შეიძლებოდა გაგეკეთებინა, რაც გინდოდა, რომ ის წასულიყო.

იმ მიზნით, რომ დახმარებოდი ახალგაზრდებს, ვინც გადაწყვიტა გახდეს ინჟინერი, წიგნში „სამი ებრაელი, ანუ რა კარგია იყო ინჟინერი“, აღვწერე რამდენიმე შემთხვევა. მათ შორის ვისაუბრე ორ ისეთ მაგალითზე, რომლებიც მოხდა დიდი სამამულო ომის დროს, რაზეც მაცნობა ჩვენი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა მ. დრუინსკიმ სრულიად სხვა შემთხვევის გამო. პირველი მაგალითი ასეთია. იმ დროს მოქმედებდა სისხლის სამართლით დასჯა სამსახურში დაგვიანების გამო, ქალაქიდან ქარხნამდე ხალხი მიდიოდა მუშათა მატარებლით. ერთმა კარგმა მშრომელმა ვეღარ მიუსწრო მატარებელს და წავიდა ფეხით, მიირბინა ქარხანაში, რასაკვირველია, ცვლის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. ამის გამო მას სასამართლო ეკუთვნოდა და ერთი წელი გამოსასწორებელი მუშაობა ხელფასიდან დაქვითვით. ესე იგი მისჯილი აგრძელებდა იქ მუშაობას, სადაც მუშაობდა, მაგრამ სახელმწიფოს სასარგებლოდ მას უქვითავდნენ ხელფასის 15 პროცენტს. მაგრამ სათემო მის დასაცავად დადგა, და ხელმძღვანელობამ გადაიფიქრა მისი სასამართლოსთვის გადაცემა. მეორე შემთხვევაში 10 საათის მუშაობის შემდეგ ცვლას შესთავაზეს ემუშავა კიდევ 4 საათი, ჩაქუჩებით ემტვრია ფეროქრომის ზოდები. ამ ცვლის ერთმა კარგმა მუშამ უარი თქვა ამაზე და ამას ასაბუთებდა იმით, რომ თავისი 10 საათი უკვე იმუშავა და კანონით მას მუშაობას ვერავინ დაავალდებულებს. საამქროს უფროსმა უმალვე დაურეკა სამხედრო კომისარიატს, ეს მშრომელი კაცი გაიწვიეს ფრონტზე, საიდანაც იგი ცალი ფეხით დაბრუნდა.

მიაქციეთ ყურადღება აი რას. პირველ შეკითხვაში სათემოს წევრმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ სათემო აღსდგა მის დასაცავად! მეორე შემთხვევაში კი მშრომელ კაცს არაფერი დანაშაული არ ჩაუდენია, სათემოს კი არც უფიქრია მისი დაცვა – ჩააბარა იგი წუხილის გარეშე! რატომ? პირველ შემთხვევაში მუშა იყო „თავისიანი“ – ის არ უპირისპირდებოდა სათემოს, უარს არ ამბობდა მასზე, და სათემომ დაიცვა „თავისი კაცი“. მეორე შემთხვევაში მუშამ თავისი თავი დაუპირისპირა არა უფროსობას, არამედ სათემოს – სათემო წავიდა სამუშაოზე ცვლის შემდეგ, ის კი არა. ის უცხო გახდა და ამიტომ უკეთეს შემთხვევაში გულგრილი, თუ სათემოსთვის საზიზღარიც არა.

აი რთული შემთხვევა. ქიმიის ლაბორატორიაში ქარხნისა, სადაც მე ვმუშაობდი, ლაბორანტებად მუშაობდა სამი ახალგაზრდა ქალი, მათ ერთად დაამთავრეს ტექნიკუმი, ერთად მოვიდნენ ქარხანაში და დაქალები იყვნენ. ორი გათხოვდა, გააჩინეს ბავშვები და უკვე ჰქონდათ ოროთახიანი ბინები. მესამე ვერა გათხოვდა გვიან და ცხოვრობდა ერთოთახიან ბინაში. სანამ ის გაუთხოვარი იყო, მას, ბუნებრივია, იყენებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ თანამდებობებზე, კერძოდ, ის იყო ქალაქის საბჭოს დეპუტატი, თუმცა თავადაც აქტიური ქალი იყო. და აი, მას გაუჩნდა შვილი, რიგით პირველია, ჩვენ კი აშენებული სახლიდან გვაძლევენ არა მხოლოდ ჩვეულებრივ სამოთახიან ბინას, არამედ ახალ ოროთახიანსაც. საამქრო კომიტეტში ხუთი კაცია: მე, ორი ექსპერიმენტული საამქროს მდნობელი და ვერას ორივე დაქალი. ვანაწილებთ სამოთახიან და გამოთავისუფლებულ ორ და ერთოთახიან ბინებს, ყველა თანახმაა, დაქალები – ორივე ხელით. მაგრამ როდესაც დოკუმენტები გაიგზავნა საქარხნო კომიტეტში, უეცრად ჩვენ გვართმევენ ახალ ოროთახიანს, თანაც დირექტორის მოადგილე საყოფაცხოვრებო საკითხებში გ. ივანოვი დირექტორის სახელით იხდის ბოდიშს და მტკიცედ გვპირდება, რომ შემდეგ სახლში ვალს გადაიხდის. რა უნდა გააკეთოთ აქ, და ვერამაც ეს გადავადება მშვიდად გადაიტანა.




სამი თვის შემდეგ საექსპლუატაციოდ გადაეცა შემდეგი სახლი, დაპირება, როგორც ხდება ხოლმე, დაივიწყეს. მომიწია ქალაქკომში სირბილი. შედეგად ბინის განაწილებისთვის საამქრო კომიტეტში დარჩა ერთი დღე ორდერის გადაცემამდე. ვინაიდან საკითხი გადაწყდა ადრე, მე (მაშინ საამქრო კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავიძ არ გამომიძახებია გამოსასვლელ დღეს მდნობელები, საამქროს უფროსთან შევიკრიბეთ საამქროს კომიტეტის სამი წევრი: მე და ვერას დაქალები. და უცბად ორივე მისი მეგობარი წინააღმდეგია და მოითხოვენ ბინა სხვა თანამშრომელს მისცენ.

თვალები შუბლზე გამექცა – სამი თვის წინათ ხომ ხმას აძლევდნენ! ვერა პირველია რიგში – როგორ არ უნდა მისცე? და აი, თურმე, ამ საზიზღრებს რა ჩაუფიქრებიათ. ქარხანა აშენებს სახლების რამდენიმე სერიას, ერთოთახიანი ბინების ფორმალური საცხოვრებელი ფართობები სერიის სახლებში სხვადასხვანაირი იყო: 16,5 და 21,0 კვადრატული მეტრი. სამკაციანი ოჯახისთვის გამოდის 5,5 და 7 კვადრატული მეტრი ერთ წევრზე, სსრ კავშირის საერთო დებულებით კი კაცი რიგში შეიძლება ჩააყენო, თუ მას 6 მეტრზე ნაკლები ფართობი აქვს. ჩვენთან ამისთვის არავის და არასოდეს მიუქცევია ყურადღება – რახან ოჯახში სამი კაცია, მაშასადამე ეკუთვნის ოროთახიანი ბინა. ვერას მეგობრები კი ამ საკავშირო ნორმას „აწვებიან“! საამქროს უფროსი უგერგილო კაცი იყო, მხარი გავკარი – მიშველე შენი ავტორიტეტით. მაგრამ მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო.

– რახან საამქრო კომიტეტმა ასე გადაწყვიტა, მე თანახმა ვარ.

– რა საამქრო კომიტეტი, სულ სამი კაცი ვართ, ხვალ სამუშაოზე გამოვლენ მდნობელები, და ჩვენ სამი ვიქნებით ორის წინააღმდეგ!

– ეს ხვალ იქნება, საკითხს კი დღეს ვწყვეტთ, – აიღო ქაღალდი ბინის სხვა მუშისთვის მიცემის შესახებ, ხელი მოაწერა და წავიდა სახლში.

მეორე დღეს ქარხნის დირექტორის მოადგილემ და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემაც ყოფა მიტირეს – ვერასთვის თვალში შეხედვისა მრცხვენოდა. მასაც დანახვა აღარ უნდოდა თავისი დაქალებისა, და რამდენი არ ვეხვეწეთ, ის სამსახურიდან წავიდა. მაგრამ მე მაინტერესებდა საკითხი: რა მოხდა, რამ გააცოფა ვერას დაქალები? ქიმიური ლაბორატორიის უფროსის მოადგილემ თითქოსდა ამიხსნა სიტუაცია.

– იცი, ისინი სამივენი ტექნიკოსები არიან, ახალგაზრდა სპეციალისტები და სამივეს აქვს პრეტენზია ინჟინრის თანამდებობაზე. ერთი თვის წინათ გაჩნდა ასეთი ვაკანსია, მაგრამ ვინაიდან ვერა მათზე ბევრად უფრო შეეფერებოდა ამ თანამდებობას, ამიტომ დავაყენეთ ის პირველად. დაქალებმა ეს ვერ აპატიეს.

მაშინ მე დავეთანხმე მას, რომ ყველაფრის ბრალი დაქალების შური იყო, მაგრამ, მიმაჩნია, რომ სწორი არ ვიყავი. ისინი ხომ სულელები არ ყოფილან? ინჟინრის ვაკანსია იხსნებოდა ერთ-ორ წელიწადში, ხომ არ შეიძლებოდა სამივე ერთად დაენიშნათ ამ თანამდებობაზე, სულ ერთია, რომელიმე მაინც გახდებოდა ინჟინერი სხვაზე ადრე. ნუთუ ეს შეიძლებოდა გამხდარიყო ზიზღის საბაბი? ამას გარდა, ისინი აშკარად აკეთებდნენ გამომწვევ სისაძაგლეს. ვერ შეძლებდნენ, შეეშინდებოდათ ამის გაკეთება, თუ ვერ იგრძნობდნენ დანარჩენი ასობით ლაბორანტის მხარდაჭერას. ახლა ვფიქრობ, რომ თავად ვერასაც შეეძლო ისე მოქცეულიყო, რომ საზოგადოება – დანარჩენი ლაბორანტები, და არა მხოლოდ დაქალები – მიიღებდნენ მის ქცევას, როგორც მის წასვლას მათგან, როგორც უარის თქმას საზოგადოებაზე, როგორც გამყიდველობას...

ახლა მივხედოთ შემთხვევას, რითაც დავიწყეთ – მარტოხელა დედას თავისი 10 წლით. შიმშილი იმ წლებში, განსაკუთრებით ოდესაში, არ ყოფილა, თანაც ის ამბობს, რომ კი არ შიმშილობდა, არამედ მშიერი იყო. ეს ქალი, მეტი რომ მიელო (ზედმეტი მუშაობისათვის ორმაგად უხდიდნენძ, გვიან დაბრუნდა სახლში, ალბათ ჩაეძინა და ვერ მოასწრო ესაუზმა, ამიტომ იყო მშიერი და ძალიან ცუდ ხასიათზე. და, უეჭველია, ის ეკუთვნოდა იმ ქალების რიცხვს, ვინც ყველა თავის უსიამოვნებას სხვას მიაწერდა. ამისთვის ადრე იყო ქმარი, ახლა კი ვის წაკიდებოდა?!

მოდით, იქიდან, რაც გადმოცემულია განაჩენში, ვუპასუხოთ შეკითხვას – მუშას რომ შეეტყობინებინა მისთვის, ავად გახდა ვიღაც სხვა მუშა მათივე საამქროდან, მათივე სათემოდან, რას უპასუხებდა იგი? ჩემი პასუხი ასეთია – იმავეს! ეს არის „ბუნებით“ უნამუსო ან ასეთად ქცეული მოუწესრიგებელი ცხოვრების გამო, უნამუსო, რომელიც თავის ნებისმიერ პრობლემას საკაცობრიო ტრაგედიად აქცევს და ამაში ყველას ადანაშაულებს თავისი თავის გარდა. სტალინის ავადმყოფობა მარტო ამ სათემოს პრობლემა კი არ ყოფილა, ის იყო ტრაგედია სსრ კავშირის ყველა ხალხისთვის. ამ უნამუსოს კი არ უსაუზმია – აი, თურმე, რა ყოფილა მთელი მსოფლიოს პრობლემა 1953 წლის 4 მარტს.

უეჭველია, როდესაც მუშამ ილაპარაკა მის რეაქციაზე, ეს საერთო რეაქცია იყო: „აი ძუკნა“! მან დაუფარავად თქვა უარი სათემოზე – მას არ აინტერესებდა სათემოს პრობლემები, ის მთელ მსოფლიოზე იყო გაღიზიანებული! შესაბამისად, სათემომ დაუნანებლად თქვა მასზე უარი, ჩააბარა იგი უშიშროების სამინისტროს. ამ ბოლო აზრს ადასტურებს წარმოუდგენლად დიდი ვადა დასჯისა, რაც სასამართლოსგან მიიღო, ეს კი მხოლოდ ერთს ნიშნავს – სისხლის სამართლის საქმეში სამსახურიდან აუცილებელ დახასიათებაში ის უფრო მკაცრადაა დახასიათებული, ვიდრე განაჩენში. რასაკვირველია, მან ეს გამონათქვამი დაუშვა მოუფიქრებლად, ეს უნამუსოები ხომ არ ფიქრობენ მას შემდეგაც კი, რაც თქვეს, და არა მხოლოდ მანამდე. და სასჯელის ვადა მან მიიღო არა იმისთვის, რომ აზრი გამოეთქვა სტალინზე, არამედ იმისთვის, რომ უნამუსოა. ის რომ უნამუსო არ ყოფილიყო, საამქრო მას არ გაწირავდა.

სხვათა შორის, თქვენ როგორ მოიქცეოდით, რომ ყოფილიყავით გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე? აპატიებდით მას? მაგრამ ეს ნიშნავს, რომ თქვენ დადგებოდით უნამუსოს მხარეზე სათემოს წინააღმდეგ. მსოფლიოს თვალში თქვენ მსოფლიოს არაფრად ჩააგდებდით, მსოფლიოს არაფრად ჩაგდება კი სსრ კავშირში რეკომენდებული არ იყო.

დღეს გვარწმუნებენ, რომ სტალინის დროს დახვრეტის დაშინებით ხალხს ქუჩებში ერეკებოდნენ, რომ მას მიეღო მონაწილეობა დემონსტრაციებში ლოზუნგით „გავუტეხოთ ძაღლის თავი ტროცკისტებს!“ საჭირო კი იყო გამორეკვა? ტროცკისტებმა არაფრად ჩააგდეს მთელი მსოფლიო, ამის გამო მსოფლიოს რეაგირება არ უნდა მოეხდინა?

ამ სერიის სტატიების კომენტარებში არაერთგზის დაუსვამთ შეკითხვა – რატომ წამოვიწყეთ ეს საქმე სტალინის პატივისა და ღირსების დასაცავად, თუ თავიდანვე გასაგები იყო, რომ მისი მოგება შეუძლებელია?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მე სტალინელი ვარ, ესე იგი ჩერჩეტი, რომელსაც არ ესმის, რომ არის საგნები, რომელთა გაკეთებაც შეუძლებელია. თქვენ კი, ანტისტალინელები – ჭკვიანი ხალხი ხართ, თქვენ იცით, რომ დღეს არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ამიტომ არც არაფერს აკეთებთ. მე კი სულელი ვარ, მიმაჩნია, რომ თუ არის სამუშაო, რომელიც უნდა გაკეთდეს, ის უნდა გაკეთდეს და არ იფიქრო იმაზე, შეძლებ თუ არა ამას. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის.

მთავარი ისაა, რომ ამგვარი შეკითხვა არა მხოლოდ შეურაცხმყოფელია იმისთვის, ვინც მას იძლევა, ასეთი შეკითხვა არის დამახასიათებელი ცნობისმოყვარისთვის. ღრმად ჩაუფიქრდით და წარმოიდგინეთ, რომ სანგარში ხართ თქვენ და ერთი ახმახი, თქვენ იცით, რომ უნდა შემოგიტიოს ორმა მტერმა და შანსი, რომ გაუსწორდეთ მათ, თქვენ დიდი გაქვთ. და აი, ახმახი გეკითხებათ: „რისთვის იცავდნენ ეს დებილები ბრესტის ციხეს? ხომ ცხადი იყო, რომ გერმანელები მას აიღებდნენ. უნდა გაქცეულიყვნენ ან ტყვედ დანებებოდნენ“. რას გააკეთებდით? მე ასეთს გადავცემდი უფროსობას – დაე, საჯარიმო ასეულის სპეციალისტებმა გაგზავნონ იგი ბრძოლაში, ჩემთან სანგარში კი ჩასვან თუნდაც გაჩხიკული, მაგრამ ისეთი, რომელიც ასეთ „ჭკვიან“ შეკითხვებს არ იძლევა.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-164.**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# პური საქართველოს პრეზიდენტის ოპოზიციაში გადავიდა

**საქართველოს ხელისუფლება მკაცრ ზომებს ღებულობს პირველი მოთხოვნის საგნების გაძვირებასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა პურსა და სხვა მარცვლეულ პროდუქტებზე. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში გვაცნობეს, ქვეყანაში ასეთი გაძვირება არ ყოფილა 10 წელიწადია. საქართველოს ხელისუფლებას ეშინია, რომ ფასების მომატებით ისარგებლებს ოპოზიცია შემოდგომისთვის განზრახული ანტისამთავრობო გამოსვლების ახალი ტალღის წინა დღეებში**

„პური გაძვირდა 10-15 პროცენტით. თუ ერთი თეთრი პური ღირდა 60 თეთრი, ამჟამად მისი ფასი 70 თეთრია, – გვითხრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელმა მაკა გიორგობიანმა – გაძვირება ძირითადად დაკავშირებულია მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულთან დაკავშირებულ სიტუაციასთან და განსაკუთრებით იმასთან, რომ რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ აკრძალეს მისი ექსპორტი“. ძლიერი სიცხისა და გვალვების გამო საქართველომ წელს მოიწია 50 ათას ტონაზე ნაკლები მარცვლეული (მოხმარების 300-340 ათას ტონასთან შედარებითძ, რაც ჩვეულებრივი წარმოების დაახლოებით ერთი მესამედია.



აჟიოტაჟი ფასების მომატებასთან დაკავშირებით იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საჭიროდ მიიჩნია მოეხდინა რეაგირება საზოგადოებაში წარმოქმნილ შეშფოთებასთან დაკავშირებით. უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაური ეწვია ერთ-ერთ მაღაზიას თბილისის გარეუბანში პრემიერ ნიკა გილაურისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის თანხლებით. პრეზიდენტი მეგობრულად ესაუბრა გამყიდველებსა და მომხმარებლებს, იყიდა ერთი ბატონი პური, ბურღული, მაკარონი, შაქარი, დარწმუნდა, რომ ყველა ეს პროდუქტი გაძვირდა 10-20 პროცენტით, და ტელეკამერების თანდასწრებით უბრძანა მთავრობის წევრებს „მიიღონ ექსტრემალური ზომები“ სიტუაციის გამოსასწორებლად.

ეს ზომები განიხილეს ტელეკონფერენციაზე პრეზიდენტის მონაწილეობით. იქ ნიკა გილაურმა გამოაცხადა, რომ „კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი ხანგრძლივი საშუალება არის ის, რომ მოვახდინოთ მოწოდებათა წყაროების დივერსიფიკაცია“. პრემიერის სიტყვებით, მთავრობა უკვე დაუკავშირდა ყაზახეთს, უკრაინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, საიდანაც ელოდებიან ხორბლის მოწოდებას. საქართველოს ელჩმა უკრაინაში გრიგოლ ქათამაძემ, რომელიც ტელეკონფერენციაში კიევიდან ჩაერთო, განაცხადა, რომ უკრაინამ, შეიძლება, გააკეთოს გამონაკლისი საქართველოსთვის და ნება დართოს 150 ათასი ტონა ხორბლის ექსპორტზე, თუმცა „უკრაინა მზად არის მოგვაწოდოს ხორბალი მხოლოდ საბაზრო ფასით, ესე იგი 300 დოლარის ფასად ერთ ტონაზე, რაც 50 პროცენტით მეტია იმ ფასზე, რომლითაც ჩვენ ვყიდულობდით უკრაინულ ხორბალს შარშან“.

საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბათუ ქუთელიამ კიდევ უფრო მეტად გაახარა პრეზიდენტი. მან თქვა, რომ ამერიკელები მზად არიან, მიაწოდონ თბილისს ხორბალი, აგრეთვე მაღალშემოსავლიანი ხორბლის თესლი 200 ათასი ტონის ოდენობით და რომ ამ მოწოდებათა ნაწილი გზაშია. მიხეილ სააკაშვილმა შენიშნა, რომ „ჩვენი ფერმერები დროულად რომ გადასულიყვნენ ამერიკულ თესლზე, რომელიც ცნობილია თავისი სიცხისგამძლეობით, ასეთი პრობლემები არ გაგვიჩნდებოდა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ექსტრემალური ზომები შემთხვევითი არაა: ხელისუფლებას აშკარად ეშინია, რომ ფასების მომატება პურზე და სხვა პროდუქტებზე დაეხმარება ოპოზიციას ანტისამთავრობო გამოსვლების ახალი ტალღის მსვლელობის დროს. „ოპოზიცია შეეცდება გამოიყენოს ბუნებრივი სოციალური დაძაბულობა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენებში, – გვაცნობა დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა ნიკა იმნაიშვილმა. – მაგრამ მთავრობას, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო დასავლეთის 4-მილიარდიანი დახმარება, ჯერჯერობით საკმაოდ საფინანსო რესურსები აქვს, რომ შეამციროს ფასების ზრდის შედეგები და არ დაუშვას სოციალური აფეთქება“.

**გიორგი დვალი**

**Коммерсант**

# საგარეო საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს რუსეთელებს უარი თქვან საქართველოში ვიზიტზე

**საქართველოში იმ რუსეთელების დაკავების ისტორიამ, რომლებიც ოდესღაც იყვნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში ახალი გამოხმაურება შეიძინა, საგარეო-პოლიტიკური უწყება რეკომენდაციას აძლევს რუსეთელებს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან**

„მართლაც, უცხოელები, რომლებიც იყვნენ აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში, საქართველოში ყოფნის დროს აღმოჩნდებიან ხოლმე სისხლის სამართლის გამოძიებაში, რაც დაკავშირებულია დიდ ჯარიმებთან ან პატიმრობასთან“, – დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ. „ეს კეთდება 2009 წლის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ეგრეთ წოდებული კანონის საფუძველზე, რომელიც, სხვათა შორის, თავისი მიღების შემდეგ იწვევდა ბევრ შენიშვნას ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მხრიდან. ასეთი პრაქტიკის მიზანი ცხადია: საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ყველა საშუალებით გადაკეტოს აფხაზეთისთვის და სამხრეთი ოსეთისთვის ურთიერთობანი გარე სამყაროსთან“, – განმარტავს დიპლომატი.

თანაც, თუ უცხოელებს საერთოდ ემუქრებათ დევნა პასპორტებში მხოლოდ შტამპების გამო, რაც ადასტურებს, რომ ისინი ოდესღაც იმყოფებოდნენ თბილისისგან ულიარებელ რესპუბლიკებში, მაშინ ჩვენს მოქალაქეებს ემუქრებათ სხვა საფრთხე, დარწმუნებული არიან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

„რუსეთელები დღევანდელ საქართველოში სისტემატურად ხდებიან უკანონობის მსხვერპლი იმისდა მიუხედავად, იყვნენ თუ არა ისინი ოდესღაც აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში“, – აღნიშნულია ნესტერენკოს კომენტარებში.

შეგახსენებთ, გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დააპატიმრა რამდენიმე რუსეთელი, რომლებიც იყვნენ აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში. მათ ბრალი ედებათ საზღვრის უკანონო გადაკვეთაში. თუ ადრე ამ მოქმედებისთვის იყო მხოლოდ აკრძალვა საქართველოში შემოსვლაზე, ახლა სისხლის სამართლის დევნა ემუქრება ყველას, ვინც გაბედავს და ჩავა ამ ცოტა ხნის წინათ აღიარებულ კავკასიის რესპუბლიკებში.

მაგალითად, ერთ-ერთმა რუსეთელმა, რომელიც იყო საქართველოს ციხეში, გვიამბო, რომ ის ტრანზიტით თბილისზე გავლით მიდიოდა ერევანში. მამაკაცის სიტყვებით, საქართველოდან გასვლის დროს იგი დააკავეს მესაზღვრეებმა და ბრალი დასდეს საზღვრის უკანონო გადაკვეთაში. ამის საფუძველი გახდა შტამპი პასპორტში თბილისის მიერ ერთ-ერთ ულიარებელ რესპუბლიკაში ვიზიტის შესახებ. თავდაპირველად გამომძიებლებმა შესთავაზეს გამოსყიდვა ციხიდან, თუ ის რესპუბლიკის ხელისუფლებას 20 ათას დოლარს გადაუხდიდა. მაგრამ შემდეგ ქართველმა პოლიციელებმა გადაიფიქრეს და რუსეთელი საგამოძიებო იზოლატორში გაგზავნეს.



იქ მას აწამებდნენ და დასცინოდნენ, კერძოდ, მამაკაცს სცემეს სხვა პატიმრებმა, მას ტუალეტში გასვლის საშუალებასაც არ აძლევდნენ. „ყველაზე „მსუბუქი სასჯელი“ რაც მე გადავიტანე, – ეს იყო საერთო კამერაში ყოფნა. იქ სულ 6 საწოლი ადგილია და იქ დაახლოებით 50 კაცი იმყოფება. მათ შორის ბევრია სომეხი, რამდენიმე კაცი რუსეთიდან, უმთავრესად იმავე საქმის გამო, როგორიც მე მქონდა“, – მოჰყავს მისი სიტყვების ციტირება „როსიისკაია გაზეტას“. საქართველოს ხელისუფლება სარგებლობს იმით, რომ რუსეთის ფედერაციასთან არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობანი და იმით, რომ მის მოქალაქეებს ვერავინ იცავს აქ, აღნიშნა მან.

2008 წლის ოქტომბერში მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა „კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ამ კანონის თანახმად, უცხოელებს შესვლა აფხაზეთში და „ცხინვალის რეგიონში“ შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მხრიდან. სასჯელის ზომად იგულისხმება აკრძალვა საქართველოში შემოსვლაზე, მაგრამ მიმდინარე წლის ზაფხულიდან დამრღვევებს ემუქრებათ 2-დან 4 წლამდე ციხე. სხვათა შორის, ადგილობრივი კანონები დამნაშავეებს ნებას აძლევს მცირე დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის დასჯის სანაცვლოდ გადაიხადონ ჯარიმა. ამისთვის მათ უნდა გადაიხადონ 5-დან 20 ათას დოლარამდე.

**მიხაილ გასპაროვი**

**Утро.ru**

# კავკასიური მაფია ზურმუხტოვან სანაპიროზე ფუძნდება

**ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დანაშაულებრივი ძალი საფრანგეთის ხელისუფლების სულ უფრო და უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს: გასულ კვირას ნიცის პოლიციამ დააკავა მაფიის ორი მთავარი მეთაური. ერთი მათგანი მონაწილეობას ღებულობდა ესპანეთში ფულის გათეთრების მრავალშტოიან ძსელში და ელოდება ექსტრადაციას, მეორე ეჭვმიტანილია ქართველი ბანდიტის მკვლელობის მცდელობაში და მეტად მკაცრ ანგარიშსწორებაში ქალაქ ნიცის ერთ-ერთ ბინაში**

კავკასიური მაფიის პოზიციების გაძლიერება (ძირითადად საქართველოდან, ჩეჩნეთიდან და სომხეთიდანძ სულ უფრო ახალ გაქანებას იძენს ზურმუხტოვან სანაპიროზე, რასთან დაკავშირებითაც პოლიცია აძლიერებს ყურადღებას. „ეს პრობლემა ცოტას ხნის წინათ გაჩნდა. დაახლოებით ერთი წელიწადია, ყვავიან ეს დანაშაულებრივი დაჯგუფებანი ჩვენს სანაპიროზე“, – აცხადებენ ნიცის პოლიციაში.

გასულ ხუთშაბათს ოთხი ჩეჩნისგან შემდგარმა ჯგუფმა სცემა პოლიციელს, რომელიც სიგარეტს ყიდულობდა. „სამოქალაქო ფორმით მყოფ პოლიციელს მიაყენეს მრავალი დარტყმა სახეში თითქმის არაფრისთვის და გადააგდეს იგი მოსაკლავად ორ მანქანას შორის“, – აცხადებს პოლიციელთა პროფკავშირის წარმომადგენელი ლორან ლობრი, რომელიც აღიარებს, რომ ამ ხალხს „არ გააჩნიათ არც მორალი, არც წესები, ხშირად ისინი კარგად შეიარაღებული არიან“.

ამ დამნაშავეთა წრეების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია კონსპირაცია. ქართველი მაფიის წინააღმდეგ ევროპული მასშტაბური ოპერაციის შემდეგ მარტში პოლიციამ შენიშნა, რომ დამნაშავეები ყოველთვის კარგად იცვამენ და შესაძლებლობის ფარგლებში სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რათა თავიდან აიცილონ დევნა, მათი უფროსებიც კი მოკრძალებულად ცხოვრობენ.

„ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგად მოწყობილი, სტრუქტურის თვალსაზრისით, დანაშაულებრივი ორგანიზაცია ევროპაში, რომელიც გვაგონებს ნახევარსაუკუნოვან ფორმირებას, – აღნიშნავს კრიმინალისტი ალენ ბოე. ჯგუფები მიმოფანტულია რამდენიმე ქვეყანაში. თითოეული ემორჩილება რეგიონულ ზედამხედველს, რომელსაც გადასცემს ერთგვარ ხარკს, რაც დაახლოებით მონაპოვარის 10 პროცენტს შეადგენს“. ამ ფულს ხშირად აბანდებენ მომგებიან ბიზნესში, როგორებიცაა ნავთობი ან ნარკოტიკები, – აღნიშნავს გამომძიებელი. „მათი სახიფათოობა გამოიხატება არა მხოლოდ მკაცრ მეთოდებში, არამედ მათ ხელთ არსებულ ეკონომიკურ ხელისუფლებაშიც“, – დარწმუნებულია იგი. მისი სიტყვებით ეს დანაშაულებრივი დაჯგუფებანი დისლოცირებული არიან დასავლეთის ქვეყნებში თავიანთ ქვეყანაში დიდი წმენდის გამო.

**შარლოტა მელეგო**

**LEFIGARO**

## დედამიწის ზურგზე



**„არამზადებმა“ ლუკაშენკოს შვილს შეურაცხყოფა მიაყენეს: პრეზიდენტი ნაწყენია მის ოჯახზე თავდასხმის გამო**

1 სექტემბერს ბელარუსის ერთ-ერთი სკოლის გახსნის დროს პრეზიდენტმა კომენტარი გაუკეთა ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს მისი უმცროსი შვილისთვის ნიკოლაისთვის აშენებენ ელიტარულ სკოლას. ლუკაშენკოს სიტყვებით, ეს არის ჭორები, რომლებსაც ავრცელებენ „არამზადები“. მან განაცხადა, რომ მისი შვილი ისწავლის ჩვეულებრივ სკოლაში.

* * *

**ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის ლიდერები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს სადილზე ობამასთან**



ბენიამინ ნეთანიაჰუ და მაჰმუდ აბასი ჩავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დაიწყება მათი პირდაპირი მოლაპარაკება. დიალოგის მიზანია დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. აბასმა პირველმა გაუწოდა ხელი ნეთანიაჰუს, რომელმაც უკვე მოასწრო სკამზე დაჯდომა და მიესალმა პალესტინის ლიდერს სახის მჟავე გამომეტყველებით.

* * *

**გერმანიაში დააკავეს ჯაშუში – იგი ავსტრიელი აღმოჩნდა**



54 წლის ხარალდ ალოისს ბრალს სდებენ იმაში, რომ 1997-დან 2002 წლამდე ის თანამშრომლობდა რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურთან. გადასცემდა რუსეთის მხარეს ინფორმაციას სამოქალაქო და სამხედრო შვეულმფრენების ახალი მოდელების შესახებ. ამისთვის მამაკაცმა მიიღო 8 ათასზე მეტი ევრო.

* * *

**ინდონეზიაში პოლიციამ მღელვარების დაშლის დროს მოკლა 7 და დაჭრა 26 მცხოვრები**

მღელვარებამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასეულობით ადგილობრივმა მცხოვრებმა, იფეთქა სამშაბათს პოლიციის განყოფილების კამერაში ბიაუს სიკვდილის შემდეგ, რომელიც დააკავეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით. შეკრებილები დარწმუნებული არიან, რომ ის გარდაიცვალა წამების შედეგად, პოლიცია ამტკიცებს, რომ ეს იყო თვითმკვლელობა. შეჯახების დროს დაიჭრა 17 პოლიციელი.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

– ნუ გჯერა, მაგრამ საქმის ვითარება სწორედ აგრეა. ეს ყველა ფიზიკოსმა იცის, მხოლოდ ახსნა არცვის არ ძალუძს. არც მე მჯერა, რაც შენ მიამბე, მაგრამ ვიცი, რომ თითოეული შენი ნათქვამი სიტყვა სიმართლეა.

ბრიდას ორივე ხელი ისევ ისე უკანკალებდა. ოღონდ არ ტიროდა და თავდაჭერილობას არ უმტყუნია. ახლა უკვე ცხადად გრძნობდა, რომ წეღან დალეული ვისკი სრულად გამონელებოდა. თავი ნათელი ჰქონდა და როგორც არასდროს, ისე მკაფიოდ უმუშავებდა.

– მერე რას შვრებიან შენი ფიზიკოსები, როცა მეცნიერების არა ერთსა და ორ საიდუმლოს აწყდებიან!?

– რას შვრებიან და, თუ იმ გამოთქმას გამოვიყენებ, შენ რომ მასწავლე, ღამის წყვდიადში შედიან. ჩვენ ვიცით, რომ საიდუმლო მუდამ ჩვენთან არის და ამიტომ ვსწავლობთ იმის ენას და იმასთან ერთად ცხოვრებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვეულებრივ ეგრევე ხდება ცხოვრებაშიც. ღამის წყვდიადშია დანთქმული დედა, რომელსაც თავისი ძის ჭკუაში ჩაგდება უნდა, ღამის წყვდიადშია ემიგრანტიც, რომელიც სამუშაოს და ფულის საშოვნელად ცხრა მთას იქიდან მოსულა. სუყველას სჯერა, რომ ძალისხმევა ფუჭად არ ჩაუვლის, რომ დაუფასდება შრომა, რომ დადგება დღე, როცა ისინი მიხვდებიან, რა გადახდათ ამ გზაზე და რა იყო, რაც აგრერიგად აშინებდათ ღამის წყვდიადში ფეხის შედგმის ჟამს!

მაგრამ წინ საბუთიან აზრს ან მიზეზს რასმე კი არა, ნებასა და ჟინს მივყავართ.

ბრიდამ იგრძნო, რა უცაბედად გაუჯდა მთელ სხეულში უჩვეულო დაღლილობა. ცოტაც და, თავს ამოყოფდა ძილში – იმ ერთადერთ ჯადოსნურ საუფლოში, სადაც ახლა თავისუფლად შეესვლებოდა.

Იმ ღამესაც უცხო რამ სიზმრები ნახა ბრიდამ, რაღაცნაირი ზღვები და ხეებგადავლილი ხერთვის-ჭალაკნი იძილისშორისა. გაღვიძებით ახალგათენებულზე გაეღვიძა და გაიხარა, ლორენსი გვერდით რომ ჰყავდა. ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ჯერეთ კიდევ მძინარე დუბლინს გახედა.

და გასაგონდა, მამა წამოაგონდა: როს საშინელება რამ დაესიზმრებოდა ხოლმე და წივილ-კივილით წამოვარდებოდა, მამა ხელში აიტაცებდა და ფანჯარასთან მიჰყავდა. ამ ბავშვობის დროინდელმა მოგონებამ წამერთ სხვაც მოიყოლა.

მამასთან ერთად პლაჟზე იყო, და მან სთხოვა, მიდი, ერთი ნახე, ზღვაში წყალი ძალიან ცივი ხომ არ არისო. ბრიდა მაშინ ხუთი წლისა იყო, და გაეხარდა, ასეთი საპასუხისმგებლო დავალება რომ მისცეს. ეგრევე მიირბინა წყალთან და შიგ თითების წვერები ჩაყო.

– ვნახე, ცივია! – გასძახა მამას.

იმან ხელში აიყვანა, ზღვაში შევიდა და უცებ, სიტყვა არ უთქვამს, ისე, წყალში ტყაპანი მოადენინა.

ბრიდა პირველად შეშინდა, მაგრამ მერე ძალიან მოეწონა ეს ხუმრობა.

– როგორი წყალია? – ჰკითხა მამამ.

– ძალიან კარგი! – შესძახა მან აღტაცებულმა.

– მაშ, ამიერიდან იცოდე, როცა რისამე გაგება გენდომება, შიგ თავით გადაეშვი.

ბრიდა ამ რჩევას არ გაჰყოლია და მალე სულაც გულიდან გადაჰქარდა. თავისი არასრული ოცდაორი წლის მანძილზე მან ბევრ რასმე მოუსინჯა კბილი, მაგრამ ყოველთვის ისევე ადვილად უცივდებოდა გული, როგორ ადვილადაც რაღაც-რაღაც სიახლე აბურბურებდა ხოლმე. რამე სიძნელე თუ სირთულე ან დაბრკოლება კი არა, იმის აუცილებლობა ჰგვრიდა შიშს, რომ ერთხელ არჩეულ გზას სამუდამოდ უნდა ასდევნებოდა.

რახან ერთი რომელიმე გზა აირჩიე, მაშასადამე, ყველა დანარჩენს უნდა დაემშვიდობო, აშა უნდა ჰკრა. ბრიდას მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა და მუდამ ეგონა, რომ ერთხელაც, ალბათ, მწარედ ინანებდა იმის გამო, რასაც ახლა სიამოვნებით მოჰკიდებდა ხელს.

„მე ვალდებულებათა შიში მაქვს“, – ფიქრობდა ბრიდა. წინ უამრავ ხსნილ გზას ხედავდა, რომელთა გავლაც გულით ეწადა, საბოლოოდ კი ვაითუ ისე მოხდეს, რომ ვერც ერთი ვერ გაიაროს.

ის კი არა, სიყვარული რომ სიყვარულია, რომლის უფრო მნიშვნელოვანი არცრაა ქვეყანაზე, მან სიყვარულშიც კი ვერ შეძლო ბოლომდე მისვლა: პირველად გაუტყდა თუ არა გული და იმედი გაუცრუვდა, მერე ტრფობის ალს ეგრე ადვილად აღარ იკიდებდა, ერთ ვისმე ძნელად თუ აშიკობდა, რადგან სიყვარულის მიმართ ნდობადაკარგულს წვა-დაგვაც აშინებდა, მოსალოდნელი დასაკლისიც და უცილო განშორებაც. არადა ერთიც, მეორეც და მესამეც უთუოდ გვხვდება სიყვარულის გზაზე, და ერთადერთი ხერხი, რამაც უნდა გვიხსნას ამ სამთაგან, ის არის, რომ სულაც ზურგი ვაქციოთ ამ გზას. ძალიან უბრალო ამბავია: თუ არ გინდა, რომ სიყვარულმა დაგტანჯოს, არავინაც არ უნდა შეიყვარო.

ეს იგივეა, რომ კაცმა, არ მინდა ამ ცხოვრების ათასი ოხრობისა და სისაძაგლის ყურებიაო, თვალები დაითხაროს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-164.

„ღმერთო, რა ძნელია ამქვეყნად ცხოვრება...“

რისკის გაუწევლად არც არაფერი არ გამოვა, ზოგ გზას ავად თუ კარგად ბოლომდე უნდა მიჰყვე, ზოგი გზიდან კი უკანვე უნდა მობრუნდე. ბრიდას უიკას ნათქვამი წამოაგონდა: ზოგიერთნი ამა თუ იმ გზას მხოლოდ იმიტომ მიჰყვებიან, რათა დარწმუნდნენ, რომ ის გზა არ შეეფერებათ, და ამას კიდევ რა უშავს. ბევრად უარესია, როცა არჩევანს აუცილებლად ერთ რომელსამე გზაზე მიიტან და მერე მთელი ცხოვრება იტანჯები, სწორად ავირჩიე თუ არაო. ამქვეყნად არჩევანში ვერცვინ ისე ვერ შევა, რომ ამასთანავე შიშმა გული არ მოუწუროს.

როგორც ჩანს, ასეთია ცხოვრების კანონი. ეს ღამის წყვდიადია, და ვერაკაცი ვერ წაუვა ამ წყვდიადს, ყოველგვარ გადაწყვეტილებას თავი რომც აარიდოს, თავის სულში რისამე შეცვლის ძალა რომც ვერ იპოვოს, რამეთუ გადაწყვეტილებათა უქონლობაც უკვე გადაწყვეტილებაა. ოღონდ ის მავანი და მავანი ვერცროდის ვერ მიაგნებს ღამის წყვდიადში გადამალულ საგანძურს.

ლორენსი, ალბათ, მართალია. ბოლოში გასულნი მერე დგანან და დასცინიან იმ შიშს, თავში რომ გულს




უხეთქავდათ. ზუსტად ისევე, როგორც ახლა თვითონ დასცინის გველთა და მორიელთ, თავის ფანტაზიას რომ შეასევინა ტყეს. სასოწარკვეთილმა და გაწბილებულმა ისიც კი იგულმავიწყა, რომ წმინდა პატრიკმა, ირლანდიის ზეციურმა მფარველმა, ჯერეთ კიდევ უხსოვარ დროს განდევნა აქედან უხსენებელნი.

– რა კარგია, რომ ამქვეყნად ხარ, ლორენს, – ისე წაიჩურჩულა ბრიდამ, რომ ლორენსს არ გაეგონა.

და კვლავ დაწვა, მალევე ჩაეძინა. ოღონდ ძილს წინ უსწრებდა კიდევ ერთი მოგონება მამაზე. ერთხელ, კვირადღეს, მთელი ოჯახი პაპის სახლს ეწვია სასადილოდ. ბრიდა იმხანად უკვე თოთხმეტი წლისა იყო, და ჩიოდა, რა მესადილება, საშინაო დავალებას ვერ ვასრულებ, რამდენიც დავიწყე, იმდენი შემეშალა, სულ შეცდომით გამომყავსო.

„იქნებ სწორედ მაგ შეცდომებმა გასწავლონ რამე“, – უთხრა მაშინ მამამ. ბრიდა კი ჯიუტად იმეორებდა, შეცდომები ვერაფერსაც ვერ მასწავლიან, რადგან მცდარი გზა ავირჩიე და რა ვქნაო.

მაშინ მამამ ხელი ჩასჭიდა ბრიდას და იმ ოთახში შეიყვანა, სადაც პაპა ტელევიზორს უყურებდა. იქვე იდგა ძველებური კედლის საათი, მრავალი წლის წინათ გაჩერებული, რომელიც იმიტომ ველარ აემუშავებინათ, რაკი კარგა ხანი იყო, რაც საჭირო დეტალებს აღარ უშვებდნენ.

„შეხედე, – უთხრა მამამ, საათთან რომ მიიყვანა ბრიდა, – და იმის გაგებას შეეცადე, რომ სავსებით მცდარი არა არის რა ქვეყანაზე. გაფუჭებული საათიც კი დღე-ღამეში ორჯერ უჩვენებს სწორ დროს“.

Ყმაწვილქალმა ერთხანს მთა-მთა იარა და, ბოლოს, როგორც იქნა, გადააწყდა მოგვს. ის მწვერვალის შორიახლო კლდის ქიმზე ჩამომჯდარიყო, ხეობასა და აღმოსავლეთით ერთმანეთს მიწყობილ ქედებს გაჰყურებდა.

უჩვეულო სილამაზის ხედი იტაცებდა თვალს, და ბრიდას გაახსენდა, რომ ეს ადგილნი ძველთაგან სულთ თავიანთად ამოერჩიათ.

– ვითომ შეიძლება, რომ ღმერთი მარტო სილამაზის ღმერთი იყოს? – ჰკითხა ახლოს მისულმა ბრიდამ. – აბა, მაშინ, რა უნდა ქნან სილამაზემოკლებულთ, გინდა ადამიანთ და გინდა ადგილთ?

მოგვს კრინტი არ დაუძრავს, და ბრიდა ცოტა დაიბნა.

– ალბათ, აღარ გახსოვარ. ორი თვის წინათ ვიყავი აქ. ამ ტყეში მთელი ღამე მარტოდმარტომ თეთრად გავათენე. და საკუთარ თავს აღვუთქვი, რომ უკან მხოლოდ იმის მერე დავბრუნდებოდი, როცა ჩემს გზას ვიპოვიდი. ის ქალიც გავიცანი, უიკად სახელდებული.

მოგვმა თვალები დაახამხამა. მან იცოდა, რომ ყმაწვილქალმა ვერცრა შეამჩნია რა. ოღონდ ბედის ირონიამ ცოტა გაახალისა მოგვი.

– უიკამ მითხრა, კუდიანი ხარო, კარესიმიო.

– მაგრამ შენ არ ერწმუნე, არა?

მოგვმა მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ბრიდა გვერდით ედგა, პირველად გახსნა ბაგე. და ყმაწვილქალმა გაიხარა, თურმე მაინც მისმენდაო, მანამდე ის დარწმუნებული არ იყო ამაში.

– ვერწმუნე, იმასაც ვერწმუნე და მთვარის ტრადიციასაც. ოღონდ ვიცი, რომ მზის ტრადიციამ მიშველა, როცა ღამის წყვდიადის არსი შემაცნობინა. ამიტომაც ვარ ისევ აქ.

– მაშინ მოდი, მომიჯექი, ერთად ვუცქიროთ დაისს, – თქვა მოგვმა.

– მორჩა, ტყეში მარტო დამრჩენი აღარა ვარ, – მიუგო ბრიდამ. – უკანასკნელად...

– მაგას ნუ იტყვი! – სათქმელი გააწყვეტინა მოგვმა – ღმერთი სიტყვებშია.

ბრიდას გაახსენდა, რომ უიკაც ამასვე ამბობდა.

– თუ მართალს ვამბობ, რატომ არ უნდა ვთქვა?

– „უკანასკნელადო“, იტყვი და ვაითუ ეგ მართლაც უკანასკნელი გამოდგეს. არადა შენ მხოლოდ იმის თქმა გინდოდა, როცა ამას წინათ აქ ვიყავიო...

ბრიდა საგონებელს მიეცა: ამიერიდან წარმოთქმამდე გულდასმით უნდა აწონ-დაწონოს ყოველი სიტყვა. ჯერხანად კი, მოგვის რჩევით დაისს მზერამიპყრობილმა, გადაწყვიტა, რომ მართლაც მდუმარედ მჯდარიყო.

მაგრამ ეს მზერა თუ ჭვრეტა რატომღაც სულს უგანგაშებდა. ბინდის გახშირებამდე თითქმის მთელი ერთი საათი რჩებოდა, ბრიდას კი ძალიან ბევრი რამ ჰქონდა მოგვისთვის სათქმელი. როგორც რომ თვითონ მოგვისგან გასაგონი და შესატყობელი!.. რაწამს რაიმე სანახაობით მოჯადოებული ერთ ადგილას გაქვავდებოდა და გაისუსებოდა, ყმაწვილქალს მყის ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, რომ თავისი ცხოვრების წუთწუთობით გამოზომილი ძვირფასი დრო თითებშუა უქონავდა, რომ ვერ მოასწრებდა უამრავი მნიშვნელოვანი საქმის გასრულებას და ვერ შეიხვედრებდა ბევრ, საჭირო ახლობელ ადამიანს, და მუდამ ეჩვენებოდა, რომ ამ დროის ბევრად უფრო უკეთესად გამოყენება შეიძლებოდა, ვინაიდან ჯერეთ კიდევ მრავალი რამ უნდა შეეცნო და გაეგო. ხოლო ახლა, როცა ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მზე ცის დასალიერს, როგორ მსჭვალავდნენ ღრუბელთ ოქროსფერი და ვარდისფერი ისრები, ბრიდა გრძნობდა, რომ მთელი ცხოვრება თავის თავს მხოლოდ იმიტომ ებრძოდა, რათა ოდესმე, ერთ მშვენიერ დღეს, შესძლებოდა აი ასე ჯდომა და იმისდა მსგავსი დაისის მზერა, ახლა თვალწინ რომ უგიზგიზებდა.

– ლოცვა თუ იცი? – ჰკითხა უცებ მოგვმა.

რასაკვირველია, იცოდა ბრიდამ ლოცვა. ქვეყანაზე, ალბათ, არცვინ არის ისეთი, ვისაც გონებით ღვთისა მიმართ აღსვლა არ ეცოდინება.

– მაშ, თუ ეგრეა, როს მზე ცისპირს შეეხება, აღავლინე მზის ლოცვა. მზის ტრადიციით ადამიანები ლოცვის წიაღ ეზიარებიან ღმერთს. და სულის სიტყვებით თქმული ლოცვა ბევრად უფრო ძლიერია, ვინემ რომელიც გინდა რიტუალი.

– არ შემიძლია... – მიუგო ბრიდამ, – ჩემი სული მდუმარებს.

მოგვმა გაიცინა.

– მდუმარებაში შთანთქმული ოდენ დიდად განათლებულთა სულია.

– მაშ, აბა, მე რატომ არ შემიძლია სულით ლოცვა?

– იმიტომ, რომ თვინიერება არა გყოფნის და ყურს არ უგდებ საკუთარ სულს, ვერ გაგიგია, რისი თქმა უნდა. შენივე სულის ვედრების მოსმენა გერცხვინება. ამ ვედრების ღმერთამდე მიტანა შიშის ზარსა გცემს. რამეთუ ჰგონებ, რომ იმას დრო არა აქვს მაგდაგვარ სისულელეთათვის.

ბრიდას თვალთა წინ დაისი უგიზგიზებდა, გვერდით ბრძენკაცი ეჯდა. და როგორც ამგვარ წუთებში ყოველთვის ემართებოდა ხოლმე, ახლაც ეჩვენებოდა, რომ არც ამას არ იმსახურებდა.

გადმოაქართულა
**ბურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

ძიუდო

# ახალი წესები კვარცხლბეკზე ასვლას გააძნელებს

**წლეულს 9 სექტემბრიდან იაპონია ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში, როგორც გაუწყეთ, საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს, თითოეულ წონაში ორ-ორი ფალავნით. ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრების წინ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ამირან ტოტიკაშვილს ვესაუბრე.**

— ტურნირისთვის მოსამზადებლად რამდენიმე ეტაპი გავიარეთ, — გვითხრა მან. — ჯერ ბაკურიანს ვეწვიეთ, შემდეგ სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ბელარუსში გავემგზავრეთ, სადაც ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გვქონდა 18 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად. მათ შორის იაპონელები, უკრაინელები და ფრანგები უმთავრესად პირველი ნომრებით იყვნენ



წარმოდგენილნი. ბოლო ორი შეკრება ბორჯომსა და თბილისში მოვაწყვეთ. ვფიქრობ, ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ სპორტსმენებმა იაპონიაში მედლებისთვის იბრძოლონ. ვარლამ ლიპარტელიანსა და მინდია ხომიზურს მცირედი ტრავმები აწუხებდათ. ახლა ისინიც ყოჩაღად არიან.

ჩემპიონატზე ერთი კვირით ადრე მივემგზავრებით, რათა აკლიმატიზაცია გავიაროთ და შეჯიბრებისთვის განვეწყოთ. მარტო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება შედეგს ვერ მოგვცემს, თუ სპორტსმენმა მათი გამოვლენა ტატამზე ვერ შეძლო.

**— კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

— დღეს ძიუდოს ბევრ ქვეყანაში ჭიდაობენ წარმატებით. აქამდე წონაში ერთ იაპონელთან ჭირდა გამკლავება, ამ ჩემპიონატზე კი ორ-ორნი იქნებიან. ახლა კორეელებს, ბრაზილიელებს, ფრანგებს, რუსებს, იტალიელებს არ იკითხავთ? თქვენ წარმოიდგინეთ, ალჟირელები და ეგვიპტელებიც დაწინაურდნენ ძიუდოში. ასე რომ, ამჯერად მედლის მოპოვება ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე უწინ. არ იფიქროთ, ამით თავს ვიზღვევდე. ბიჭები რეიტინგების შესაბამისად კარგად არიან მომზადებულნი და, როგორც ვთქვი, ჯილდოებისთვისაც იბრძოლებენ. უბრალოდ, ობიექტურ რეალობას აღვნიშნავ.

პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ქვეყნების უმრავლესობამ მოასწრო ნაკრები გუნდების გადახალისება, თაობათა ცვლის უმტკივნეულოდ ჩატარება. ჩვენ ეს პროცესი დაგვიგვიანდა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რამდენიმე წონაში ახალგაზრდებს ჩავანაცვლებთ. ლონდონის ოლიმპიადამდე ორი წელიწადია დარჩენილი, ამიტომ ჯერ კიდევ შეიძლება უძლიერესთა შერჩევა-გამოცდა, რომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე წელგამართული გუნდით გავემგზავროთ.

**— წონაში ორ-ორი ძიუდოისტი იჭიდავებს. კარგია ეს თუ ცუდი?**

— ლონდონის ოლიმპიადისთვის საგზურს სპორტსმენი მიიღებს და არა ქვეყანა, როგორც ეს უწინ იყო, ამიტომ უძლიერეს სპორტსმენებს სალიცენზიო ქულების დასაგროვებლად ერთნაირი საშუალება უნდა მიეცეთ. ამ მიზნით, შეჯიბრებებზე ორ-ორი სპორტსმენის გაყვანა გამართლებულია. თუმცა, ვიმეორებ, ახალმა წესებმა კვარცხლბეკზე ასვლა გააძნელა. ყოველივეს მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებთ, იაპონიიდან ხელდამშვენებულნი რომ დავბრუნდეთ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ამირან ტოტიკაშვილი დარიგებას აძლევს ამირან პაპინაშვილს.**

**ავტორის ფოტო.**

რაგბი

# ფინალების ჯერიც დადგა

**„შავი ზღვის თასის" პირველ გათამაშებაზე ქართულმა გუნდებმა იყოჩაღეს — 5 სექტემბერს ფინალში „ლელო" და „ბათუმი XV" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს ცნობილი გახდა ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ.**



A ჯგუფში თავიდანვე ფავორიტად საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელ „ლელოს" მიიჩნევდნენ და მანაც იმედები გაამართლა. ბოლო ტურში იგი რუმინულ „ბუქარესტს" შეხვდა. მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო და პირველი ტაიმიც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 19:0. შესვენების შემდეგ ლელოელებმა ზედიზედ ორი ლელო გაიტანეს და ანგარიშში სხვაობაც საგრძნობლად გაზარდეს, საბოლოოდ 45:21 გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე, როგორც აღვნიშნეთ „ბათუმი XV" იქნება. ზღვისპირელებმა B ჯგუფის პირველ პაექრობაში რუმინულ „არადს" სძლიეს, მეორე ორთაბრძოლაში კი რკინიგზელებს აჯობეს. ლევან მგელაძის შეგირდებმა გააზრებული თამაშით მოხიბლეს გულშემატკივრები, არც „ლოკომოტივს" დაუტოვებია ცუდი შთაბეჭდილება. მით უმეტეს, რომ პირველი იერიში მან წამოიწყო და თემურ სოხაძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიშიც გახსნა — 3:0. ზღვისპირელებმა მალევე შეძლეს თამაშის სადავეების ხელში აღება და წარმატებასაც მიაღწიეს — 40:14. ამდენად, ჯგუფებში პირველ ადგილებზე „ლელო" და „ბათუმი XV" გავიდნენ. მთავარი პრიზის ბედიც მათს დაპირისპირებაში გაირკვევა. მესამე ადგილისთვის ოდესის „კრედო-63" და რუმინული „არადი" 4 სექტემბერს ითამაშებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# ფინიშამდე ორი ტურით ადრე



**სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე რუსეთის მოჭადრაკე ქალთა მე-60 საიუბილეო ჩემპიონატზე წარმატებით თამაშობს თბილისელი დიდოსტატი ნაზი პაიკიძე.** მე-7 ტურში იგი მარინა რომანკოს დაუზავდა და 5,5 ქულა მოაგროვა, ანუ იმდენივე, რამდენიც სვეტლანა მატვეევამ და ისინი პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით რომანკო, ელენა ზაიაცი და ტატიანა შადრინა ჩამორჩებიან.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური რჩება.

# ელიტაში

**ფიდემ გამოაქვეყნა სექტემბრის რეიტინგი. აი, ვინ შევიდნენ საჭადრაკო ელიტის პირველ ათეულში:** 1. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) — 2826, 2. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2803, 3. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 2800, 4. ლევონ არონიანი (სომხეთი) — 2783, 5. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — 2780, 6. პავლე ელიანოვი (უკრაინა) — 2761, 7. ალექსანდრე გრიშჩუკი (რუსეთი) — 2760, 8. შახრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) — 2756, 9. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 2754, 10. ბორის გელფანდი (ისრაელი) — 2751.

ინტერნეტიდან

# უმდიდრესები

**პოპულარულმა ჟურნალმა „ფორბსმა" შეადგინა მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების სია.**

**მართალია, ევროპაში ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ფეხბურთს ჰყავს და მდიდარი კლუბებიც ბევრია, მაგრამ ამერიკული ფეხბურთის გიგანტებს ცოტა თუ მისწვდება.**

ჟურნალის გამოანგარიშებით, მხოლოდ სამი ევროპული გუნდი მოხვდა პლანეტის უმდიდრესი კლუბების ათეულში. ერთ-ერთი მათგანია ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" 1,835 მილიარდი დოლარით. იქვეა ამერიკული ფეხბურთის ექვსი გუნდი და ბეისბოლის მხოლოდ ერთი კლუბი — „იანკიზი".

„მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა (ის პირველ ადგილზეა) ამ უმდიდრესი კლუბების ათეულში შედიან: „დალას კოვბოიზი" (ამერიკული ფეხბურთი) — 1.650 მილიარდი, „ნიუ-იორკ იანკიზი" (ბეისბოლი) — 1,600 მილიარდი, „ვაშინგტონ რედსკინზი" (ამერიკული ფეხბურთი) — 1,550 მილიარდი, „ნიუ-ინგლენდ პატრიოტსი" (ამერიკული ფეხბურთი) — 1,361 მილიარდი, „რეალი" (ფეხბურთი) — 1,323 მილიარდი, „ნიუ-იორკ ჯაიანტსი" (ამერიკული ფეხბურთი) — 1,183 მილიარდი, „არსენალი" (ფეხბურთი) — 1,181 მილიარდი, „ნიუ-იორკ ჯეტსი" (ამერიკული ფეხბურთი) — 1.170 მილიარდი, „ჰიუსტონ ტეკრიზი" (ამერიკული ფეხბურთი) — 1,150 მილიარდი.

ამ სიასთან ძალზე ახლოს არიან „ბარსელონა" და „ბავარია".

# ვინაა მისი თანამგზავრი?

**ქალის ნატურა რომ ცვალებადია, ეს დიდი ხანია, ცნობილია. ამაში შემოდგომის დასაწყისში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ბულგარეთის ნაკრების და მისი მეკარის ნიკოლოზ მიხაილოვის თაყვანისმცემლები, როდესაც პრესაში გამოჩნდა ცნობა მის რომანზე ცნობილ იქაურ მოდელთან ნიკოლეტა ლოზანოვასთან. თუმცა თავის ბოლო ინტერვიუში ლამაზმანს ამაზე ხმაც არ დაუძრავს.**



„ზაფხულში საელიტო ქრონიკაში გამოვჩნდი, — განაცხადა მან, — ზაფხულში შვებულება მაქვს. სად და ვისთან ვიქნები — ყველა რატომ უნდა აალელვოს? დროის დიდ ნაწილს ახლა საზღვარგარეთ ვატარებ. მაგრამ ვისთან? — არ გეტყვით. თქვენ გაინტერესებთ, თუ ვინაა ჩემი თანამგზავრი? ამასაც ვერ აგიხსნით!"

ლოზანოვამ, ადრე დიმიტარ ბერბატოვს რომ ხვდებოდა, უარყო თავისი კავშირი მეორე ბულგარელ გოლეადორთან, „პარმას" თავდამსხმელ ვალერი ბოჟინოვთან. რაც შეეხება მის სექსუალურობას, ნიკოლეტას თქმით, ეს მოჩვენებითია და ამით მხოლოდ სამსახურში სარგებლობს. „მე სექს-მანქანა როდი ვარ. ჩემი სექსუალური ცხოვრებით სრულიად კმაყოფილი ვარ. ჩემი ფოტოსურათები კი ძალზე შორსაა სინამდვილისგან".

კადრი



## ინფორმაცია

# ლეგენდარული ლოტბარი — მარო თარხნიშვილი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული ფონდების ყოველკვირეული მიმოხილვა ამჯერად პირველი ქართველი ლოტბარი ქალის მარო თარხნიშვილის ფონდს შეეხება.**

როგორც ეროვნული არქივიდან იტყობინებიან, აღნიშნული ფონდი საქართველოს ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას 1978 წელს მისმა ქალიშვილმა თამარ თარხნიშვილმა და 1986 წელს შვილიშვილმა, მარიამ კვალიაშვილმა უსასყიდლოდ გადასცეს. ფონდის მდიდარი მასალა მოიცავს ქართული ფოლკლორის მოამაგის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

მარო თარხნიშვილის პირად ფონდში დაცულია დოკუმენტები მისი ხელმძღვანელობით არსებული ქართლ-კახური გუნდის საქმიანობის შესახებ. კერძოდ, გუნდის მიერ 1927, 1935, 1940, 1965 წლებში ჩატარებული კონცერტების თაობაზე. აქვეა დაცული მარო თარხნიშვილის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერების „თოხნური", „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა", „გაფრინდი შავო მერცხალო" დასხვა ჩანაწერები მაგნიტოფირზე.

ყურადღებას იპყრობს 1920 წელს გადაღებული ქართლ-კახური ანსამბლის ჯგუფური ფოტო, დების მარო და ეკატერინე თარხნიშვილების ფოტოსურათები ანსამბლის წევრებთან ერთად.

ქართული ხალხური მუსიკის მოამაგის ცხოვრებაზე საინტერესო შთაბეჭდილებებს გვიქმნის მისი მოგონებები.



აქვეა მარო თახნიშვილის ლექსები, დღიურები, მისი მონაწილეობით ჩატარებული კონცერტების პროგრამები და აფიშები, ასევე, წერილები მისი ხელმძღვანელობით არსებული გუნდის გამოსვლების შესახებ.

ეროვნულ საარქივო ფონდში დაცული სხვა მასალების მსგავსად, ამ ფონდის გაცნობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის" 2010 წ. 28 აგვისტოს ნომრის **„დღის კალენდარში"** აკადემიკოს ნიკოლოზ ვახანიაზე ინფორმაციაში გაზეთისგან დამოუკიდებელი მიზეზით ორი დასანანი უზუსტობა გაიპარა:

**ბატონი ნიკო დაბადებულია 1930 წელს (და არა 1928-ში) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრია (და არა წევრ-კორესპონდენტი).**

**ვსარგებლობთ შემთხვევით და აკადემიკოს ნიკოლოზ ვახანიას ვულოცავთ 80 წლის იუბილეს.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: როცა მუშაობა დავიწყე დამსაქმებელს შრომის შინაგანაწესი არ გაუცვნია. ამჟამად კი, ისეთ შეზღუდვებს მიწესებს, რაც შრომის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული და მეუბნება, ეს შინაგანაწესით გვქონდა დადგენილი და შენთვის მისი შესრულება სავალდებულოაო. აქვს ამის უფლება?**

**ია მამალაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, პირს შრომის ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომში - მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. თუ თქვენი სამუშაოზე მიღების დროს, ზემოაღნიშნული პირობები არ ყოფილა დაცული, ამჟამად დამსაქმებლის მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტეთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?**

**ლევან ფიცხელაური**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს სამუშაო ადგილზე, თვეში ერთხელ ან დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებით — ბანკის მეშვეობით.

## განცხადება

**სს „ელვა" მიმდინარე წლის 13 სექტემბერს აწყობს აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გატანილი იქნება:**

კომპრესორი დაუკომპლექტებელი, თხოულობს კაპ. რემონტს, 1 ცალი, საწყისი ფასი 360 ლარი; თვითნაკეთი ხის ვერტიკალური სალარავი ჩარხი, 1 ცალი, საწყისი ფასი 1600 ლარი; თვითნაკეთი ხის კოპირების ჩარხი, 1 ცალი, საწყისი ფასი 1800 ლარი; თვითნაკეთი ხის სახეხი ზუმფარით, 1 ცალი, საწყისი ფასი 440 ლარი; თვითნაკეთი ხის ლობზიკი, 1 ცალი, საწყისი ფასი 160 ლარი; ხის თვითნაკეთი ხერხი, 1 ცალი, საწყისი ფასი 240 ლარი; სადურგლო-სამაგრი (სტრუპცინაძ, 1 ცალი, საწყისი ფასი 200 ლარი.

აუქციონი შედგება დღის 12 საათზე სს „ელვას" ტერიტორიაზე, ჯიქიას (პოლიტკოვსკაიასძ 5 ნომერში.

აუქციონზე მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა, ბე-ს გადახდის ქვითარი საყიდელი ნივთის საწყისი ღირებულების 10 პროცენტისა.

**აუქციონში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში მას ბე-ს თანხა უკან უბრუნდება.**

**ცნობებისათვის მიმართეთ ადმინისტრაციას ტელეფონზე 53-61-78.**

**ლიკვიდატორი ნ. ჭკადუა**

## განცხადება

**2010 წლის 27 ოქტომბერს დღის 12 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, შპს „სანის" ასფალტბეტონის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება ასფალტბეტონის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია უზრუნველყოს რეგიონში საგზაო მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ხელშეწყობა. საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტი. თბილისი, გულუას ქ. 6.
- შპს „სანის" ასფალტბეტონის ქარხნის ადმინისტრაციული შენობა, ზუგდიდის რ-ნი, ს. რუხი, ვეკუას ქუჩა.
- ქ. თბილისი უზნაძის ქ. 78, ოთახი 207.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

**ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №25.**

**საკონტაქტო ტელ: 899 46 51 65, 879 02 01 10.**

**საკონტაქტო პირები: ფელიქს იზორია, გენადი უბირია.**

**საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 26 ოქტომბერი, დღის 12 საათამდე.**

**შპს „სანის" დირექტორი ს. გვარამია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №1ძ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს მეტალის მექანიკური, მოძრავი სტელაჟების შესყიდვაზე ერთ ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.**

დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი და ეროვნული არქივის საკუთარი შემოსავლები.

2. შესასყიდი ობიექტი:

**აძ მეტალის მექანიკური, მოძრავი ორმხრივი სტელაჟი**

ზომები:

სიგრძე — 5420 მილიმეტრი;

სიმაღლე — 3150 მილიმეტრი;

სიგანე — 900 მილიმეტრი.

რაოდენობა: 52 (ორმოცდათორმეტიძ ცალი.

ერთეულის სავარაუდო ღირებულება: 6335 (ექვსი ათას სამასოცდათხუთმეტიძ ლარი.

**ბძ მეტალის უძრავი ორმხრივი სტელაჟი**

ზომები:

სიგრძე — 5420 მილიმეტრი;

სიმაღლე — 3150 მილიმეტრი;

სიგანე — 900 მილიმეტრი.

რაოდენობა: 4 (ოთხიძ ცალი.

ერთეულის სავარაუდო ღირებულება: 5780 (ხუთი ათას შვიდასოთხმოციძ ლარი.

**გძ მეტალის მექანიკური, მოძრავი ერთმხრივი სტელაჟი**

ზომები:

სიგრძე — 5420 მილიმეტრი;

სიმაღლე — 3150 მილიმეტრი;

სიგანე — 500 მილიმეტრი.

რაოდენობა: 8 (რვაძ ცალი.

ერთეულის სავარაუდო ღირებულება: 4675 (ოთხი ათას ექვსასსამოცდათხუთმეტიძ ლარი.

**სულ ლოტის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 389940 (სამასოთხმოცდაცხრა ათას ცხრაასორმოციძ ლარს.**

**შენიშვნა:**

— ღირებულება მოცემულია ტრანსპორტირებასთან, გადასახადებთან (მ. შ. დღგ-ის გადასახადიძ და მონტაჟთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით;

— სტელაჟების მონტაჟი უნდა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული სქემის მიხედვით;

— სტელაჟები უნდა იყოს შეღებილი ეპოქსიდის ღია ნაცრისფერი საღებავით.

შესყიდვის ობიექტის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

4. შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2010 წლის 25 დეკემბრისა.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზეძ შეეძლებათ 150.00 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ (რეკვიზიტები: მიმღები ბანკი — სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში — 200122900, კოდი — 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი — 302004000. გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი. დამატებითი ინფორმაცია — სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი, სადეპოზიტო ქვეკოდი — 4005ძ.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ შემსყიდველ ორგანიზაციაში.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია 2010 წლის 3 სექტემბრიდან 2010 წლის 23 სექტემბრის 17:00 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №1, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული კორპუსი, მეორე სართული, შესყიდვების განყოფილება.

6. ტენდერში გამოყენებული იქნება პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადების წარდგენის, კონვერტების გახსნისა და სატენდერო წინადადებების შეფასების ჩვეულებრივი, არაალტერნატიული მეთოდები („სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-14 და მე-16 მუხლების მიხედვითძ.

7. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ხელმოწერილი ხელმძღვანელის მიერ და ბეჭდით დამოწმებული უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ერთ დახურულ კონვერტში 2010 წლის 3 სექტემბრიდან 2010 წლის 24 სექტემბრის 16:00 საათამდე, მე-13 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირმა სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე (რეკვიზიტები: სს ბანკი „რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი; ბანკის კოდი 220101757, მიმღები: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მიმღების ანგარიში: 10591718543, დანიშნულება: სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მეტალის მექანიკური, მოძრავი სტელაჟების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღებაძ უნდა ჩარიცხოს სატენდერო წინადადების წარდგენისათვის დაწესებული საფასური 50.00 ლარის ოდენობით, რომლის დამადასტურებელი ქვითრის დედანი უნდა გადაეცეს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელზე სატენდერო წინადადების დალუქულ კონვერტთან ერთად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

8.1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულიძ იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

8.2. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

8.3. ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია.

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**

8.4. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

8.5. ცნობა აღსრულების ეროვნული ბიუროდან მოვალეთა რეესტრში არყოფნის შესახებ;

8.6. ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

8.7. სატენდერო წინადადების ღირებულება ლარებში, სადაც უნდა იყოს მითითებული ფასი ტრანსპორტირების, გადასახადების, მონტაჟის თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის მოწოდების და მონტაჟის ვადები;

8.8. მოწოდებული შესყიდვის ობიექტის (ექსპლუატაციაში მიღებიდანძ გაცემული საგარანტიო ვადა. მინიმალური საგარანტიო ვადა არ უნდა იყოს ორ წელზე ნაკლები;

8.9. ინფორმაცია საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნა-არმოთხოვნის შესახებ;

8.10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო ერთ პროცენტიანი გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადასძ;

8.11. პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

9. ტენდერის შედეგად გამოვლენილმა გამარჯვებულებმა ხელშეკრულების გაფორმების დროს უნდა წარმოადგინონ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების ორი პროცენტის ოდენობით.

10. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. თუ წინამდებარე ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ სატენდერო განცხადების მერვე მუხლის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბ-კონტრაქტორისათვის.

12. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

13. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2010 წლის 24 სექტემბერს 17:00 საათზე, პრეტენდენტთა თანდასწრებით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №1, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული კორპუსი, მეორე სართული.

14. ზეპირი ვაჭრობა ჩატარდება იმავე მისამართზე 2010 წლის 28 სექტემბერს 17:00 საათზე, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების $15^{1}$ მუხლის შესაბამისად.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის შესყიდვების განყოფილებაში, მისამართზე: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №1, ადმინისტრაციული კორპუსი, მეორე სართული. საკონტაქტო პირი ზურაბ ენაგელი, ტელეფონი 38-14-25, მობილური 895 27-12-28.

**სატენდერო კომისია**

## მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

# ოღონდ ვინმე გაახარო



**ბატონ პაატა ბურჭულაძეს**

*საქართველოს იმედო და*
*საქართველოს სიამაყევ,*
*საქართველოს ღიმილო და*
*საქართველოს წმინდა*
*სახევ!*
*ამ თვისებით გააცანი*
*მთელ მსოფლიოს*
*საქართველო,*
*მარტო შენ კი არა და...*
*მზად ხარ სხვებიც აამღერო.*

*მხარს გიბავენ მსოფლიოში*
*სხვა შენებრი*
*მომღერლები,*
*ქველმოქმედებას*
*განაგრძობ*
*წყნარად, მშვიდად,*
*არ იღლები,*
*ბინის გასაღებს ურიგებ*
*უმწეოს და უსახლკაროს,*
*ძალისხმევას არ იშურებ,*
*ოღონდ ვინმე გაახარო.*

*ამას ხალხი აფასებს და*
*გლოცავს მთელი*
*საქართველო!*
*სულ ბრწყინავდე, შენ,*
*ვარსკვლავო,*
*ჩვენი ქვეყნის სასახელოდ!*

**მედეა მჭედლიშვილი**

## დღის კალენდარი

### 3 სექტემბერი

**ხსენება მოციქულისა თადეოზისა, 70-თაგანისა (დაახლ. 44ძ; სარმეანესი, ქართლის კათალიკოსისა (779ძ; ღირსისა თადეოზ სტეფანწმინდელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა (VIძ; მოწამისა ბასასი და სამთა შვილთა მისთა, მოწამეთა: ალაპისი, თეოგნესი და პისტოსი ( 305-311ძ.**



**ამოდის 05.28**
**ჩადის 18.33**



**ამოდის 23.11**
**ჩადის 14.02**

### დაიბადნენ:

**1647 – დენი პაპენი,** ფრანგი ფიზიკოსი.
**1875 – ფერდინანდ პორშე,** ავსტრიელი ავტოკონსტრუქტორი.
**1885 – გერონტი ქიქოძე,** ფილოსოფოსი, ესთეტი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1960 წელს.
**1905 – კარლ დეივიდ ანდერსონი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**1905 – ბენიტო ბუაჩიძე,** კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. რეპრესირებულია 1937 წელს.
**1914 – ანდრია აფაქიძე,** არქეოლოგი, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გარდაიცვალა 2006 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1977 – ლეო დავითაშვილი,** გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
**1739 – ჯორჯ ლილო,** ინგლისელი დრამატურგი.
**1883 – ივან ტურგენევი,** რუსი მწერალი.
**1991 – ფრენკ კაპრა,** ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი.

### მოვლენები:

**590 წელი** – გრიგორ I რომის პაპად აკურთხეს.
**1791 წელი** – საფრანგეთმა მიიღო პირველი კონსტიტუცია.
**1828 წელი** – დაქორწინდნენ ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე.
**1897 წელი** – აკაკი წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის „აკაკის თვიური კრებულის" პირველი ნომერი.
**1971 წელი** – სსრკ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის სტატუსის შესახებ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების დღე.**
**მონაკო** – გათავისუფლების დღე.
**ტუნისი** – ხსოვნის დღე.
**კატარი** – დამოუკიდებლობის დღე.
**სან-მარინო** – რესპუბლიკის დაარსების დღე.

**მედიანიუსი**

## კულტურის ქრონიკა

### „ლესინიას ოქრო" – ნუცა ალექსი-მესხიშვილს

**ახლახან იტალიის ქალაქ ვერონაში დამთავრებულ კინოფესტივალ „ლესინიაზე" ახალგაზრდა ქართველი კინორეჟისორის ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმმა „ბედნიერებამ" ფესტივალის მთავარი პრიზი – „ლესინიას ოქრო" მოიპოვა.**

უფრო ადრე ამ ფილმს წარმატება ჰქონდა ვენეციის, პრიესტეს კინოფესტივალებზე (ჟიურის სპეციალური პრიზიძ, აგრეთვე, პოლონეთში...

სადიპლომოს შემდეგ „ბედნიერება" ნუცა ალექსი-მესხიშვილის პირველი ფილმია.

ნუცას დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია, კინოსარეჟისორო – საფრანგეთში, ხოლო ამჟამად ცხოვრობს ჰამბურგში.

როგორც იტყვიან, წინ დიდი გზა აქვს ლეგენდარული არქიტექტორის ლადო ალექსი-მესხიშვილისა და ცნობილი კინორეჟისორის ლანა ღოღობერიძის ქალიშვილს და სულ წარმატებები ვუსურვოთ ამ გზაზე.

### ზურაბ წერეთლის საჩუქარი – დარტანიანის შთამომავალს

**ხვალ საფრანგეთში, გასკონიის ოლქში საზეიმოდ გაიხსნება სამი მუშკეტერის ძეგლი.** ალექსანდრე დიუმას უკვდავი გმირების – ათოსის, პორთოსის, არამისისა და დარტანიანის მონუმენტების ავტორია სახელგანთქმული ქართველი მოქანდაკე **ზურაბ წერეთელი,** რომელიც თავის ნამუშევარს დარტანიანის შთამომავალს, სენატორსა და საფრანგეთის მუშკეტერების კაპიტანს ემირ დე მონტესკიეს ჩუქნის.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8283 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3229 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8426 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 – +36 |
| ქუთაისი. | +23 – +36 |
| ბათუმი. | +21 – +29 |
| ზუგდიდი. | +22 – +36 |
| თელავი. | +19 – +33 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

გასულ საუკუნეში ხონში შეიმუშავეს რწყილის გატყავების ახალი მეთოდი, რაზეც ვანელებმა მიაძახეს – „ქონი არ გააყოლო". ახლა კი ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად აითვისა ეს მეთოდი ბიზნესის გასატყავებლად ახალი სლოგანით „ქონი(თეთრიძ არ დაუტოვო!"

* * *

საინტერესოა, ვის დარჩება ლენინის მავზოლეუმი მისი „გარდაცვალების" შემდეგ?!

* * *

დგება დრო, როცა ფიქრობ, ახალგაზრდობაში გასაბერი ქალი რომ გეყიდა, ახლა მშვიდად იცხოვრებდიო.

* * *

პოლიტიკოსები უპასუხებენ შეკითხვებზე, იმიტომ კი არა, რომ მათზე პასუხები იციან, არამედ იმიტომ, რომ მათ ეკითხებიან!–



* * *

ტყუილია, როცა ამბობენ, ტირილითა და ყვირილით ვერაფერს მიაღწევო, აბა, ერთი ჩემს ორი თვის გოგონასთან დარჩით!

* * *

– გამარჯობა, ეს თქვენი ნომრიდან მირეკავდნენ?
– ჰო!
– თქვენ მირეკავდით?
– არა!
– მაშ ვინ?
– არ ვიცი, ჩვენ აქ ბევრნი ვართ!
– რამე ორგანიზაციაა?
– თითქმის ასეა. ციხეა!

* * *

სტატისტიკის მიხედვით, ხუთასში მხოლოდ ერთი ადამიანის სიმაღლეა მეტრი და ოთხმოცდაათი სანტიმეტრი, მაგრამ მაინცდამაინც სწორედ ის ჯდება ხოლმე ჩემს წინ კინოში.

* * *

– ექიმო, ავადმყოფს ნახავთ!
– რა, ავადმყოფები არ მინახავს?!

* * *

როდესაც ჩინეთში რაიონი რაიონს ეჩხუბება, ეს ამბავი კოსმოსიდანაც კი ჩანს!

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.